

ტარიელ ნამორაძე

სიყვარული ოთხ ფეხზე

გატეხილი გული

თბილისი

გამომცემლობა "ძაღლიკა და შვილები"
2012

სიყვარული ოთხ ფეხზე

ეძღვნება მათ, ვისაც უყვარს ძალლები და მათ,
რომელთაც ჯერ არ უყვართ ისინი

რედაქტორი: დავით ჭელიძე

© ტარიელ ნამორაძე

ISBN – 978-9941-0-4973-6

ავტორისაგან

ეს საოცარი ჩანაწერები ვაკის პარკში, გაუქმებული საზაფეულო კინოთვატრის უკან, პატარა ტყეში, ერთი ხის ძირას ვიპოვე. ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ძაღლის შიერ იყო გაკეთებული. ძალიან გთხოვთ, ახლა არ თქვათ, ძაღლებმა წერა არ იციან და ასე შემდეგო, მშვენივრად იციან და ძალზე გულასდილებიც არიან, უბრალოდ, მე არ შემეძლო ნაწერების წაკითხვა და კინოლოგ-მწვრთნელის ალბერტის და არქაული ენების სპეციალისტ-პრიპტოლოგის ბატონი არჩილის შეწუხება მომიხდა. გაშიფრვას და ბეჭდვას ორიოდე კვირა დასჭირდა. მაქსიმალურად ვეცადეთ, ტექსტი არ შეგვეცვალა და რედაქტირება არ მოგვეხდინა. თუ დააპირდებით ზოგიერთ სიტყვას, განსაკუთრებით უცხოურს, არასწორად წერენ, მაგრამ ჩვენ უვალაფერი ისე დავტოვეთ, როგორც ძაღლებს მიაჩნდათ საჭიროდ.

შველაზე საინტერესო ის გახსენდათ, რომ ამ ჩანაწერებთან ერთად აღმოჩნდა რამდენიმე ადამიანის დღიურიც, საიდან და როგორ, ეს მართლაც გამოცანად დარჩა უველასოვის. საბოლოოდ გადაწყდა, ვეცლა ჩანაწერი ერთად დაგველაგებინა, კომპიუტერში შეგვევნა და გამოგვეცა, რადგან ბევრისოვის, ვინც პირადად იცნობდნენ ავტორებს, მათი წაკითხვა ალბათ სასიამოვნო იქნებოდა. მე არ დავიზარე და რამდენიმე პიროვნებას – პარკის წინ მდგრომ ტაქსისტებს, ავტოსამრეკებაოს თანამშრომლებს, ვეტერნიმებს, ძაღლების პატრონებს, პარკში დამსვენებლებს და შეყვარებულ წევილებსაც კი შევეკითხე ჩარას და ჩორნას შესახებ.

გაირკვა, რომ ჩარა ყოფილა ციმბირული ჰასკი, რომელიც ჯიშად ამერიკაში ჩამოუყალიბებდით. ის იყო ცისფერთვალება, თეთრი, რუხით გაწყობილი ფუტულა გოგო, საოცრად უყვარდა ადამიანები, ძაღლები და ცხოვრობდა პრინციპით: ვინ მოყვარესა არ ექცეს, იგი თავისა მტერია.

ჰასკები ყოფილან ჩუღოტკის ძირძევლი მაცხოვრებლების შინაური ცხოველები და ცნობილი იყვნენ, როგორც საუკეთესო ძაღლები მარხილებისოვის. ჩარას წინაპრებს ალასკაზე დიდი ხნის წინათ ერთი პატარა ქალაქი გადაურჩნიათ დიფტერიის ეპიდემიისგან – მარხილით ჩაუტანიათ ვაქცინა მოსახლეობისოვის. ასეთი დამსახურების გამო ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში მარხილის ძაღლისოვის ძეგლიც კი დაუდგამთ.

რაც შექება ჩორნას, მამით იგი ყოფილა მონადირე, ქუჩის, უფრო ზუსტად, პარკის ძაღლი, რომელზეც შეყვარებული ყოფი-

ლა კველა, ვისაც ძაღლები აინტერესებს. რით იყო გამორჩეული ჩორნა (ანუ რომელ, როგორც ზოგი ეძახდა) სხვა, უპატრონო ძაღლებისგან და რით დაიმსახურა მან ასეთი პოპულარობა, ეს უკვე ჩანაწერებში გამოჩნდება. ჩანაწერებმა ისე გამიტაცა, რომ გადავწყვიტე, ძაღლების სურათები მეშოვა. მართლაც, ჩარას პატრონებმა რამდენიმე ფოტო სრულიად უსასყიდლოდ დამითმეს.

ჩორნა

2008 წლის ოქტომბერი

სასიამოვნოა ყვითელ ფოთლებში წოლა. თანდათან აგრილდება, მოვა ზამთარი, თოვლიც. დღეს დილით მანქანა შემოსულა პარკში. ყველა გაქცეულა, დაუჭერიათ მხოლოდ ერთი სულელი თეთრი ლეკვი, სიცივისგან შეწუხებული თავის ძმას რომ ეხუტებოდა მთელი დღე. ყველამ იცის, მერე რას უშვრებიან დაჭერილებს. ამ უბედურმა ჭერა ვერ ისწავლა და თავისით ჩაუვარდა ხელში. დღეს ალბათ უკვე „დაძინებულია“.

ეს ახალი, თეთრ-ნაცრისფერი ლეკვი ნეტავი ვინაა? პატრონი ჰყავს, ასაკოვანი, სერიოზული კაცი. ალბათ საქმაოდ ფულიც გადაიხადეს, ლამაზი ყელსაბამი და საბელი აქვს, მაგრამ თვალები... ასეთი თვალები ერთხელ მაქვს ნანახი, ისიც სიზმარში. იქნებ ახლოს მიმიშვან, ვცდი. მივუახლოვდი, მაგრამ პატრონი გამიბრაზდა და გამაგდო, იფიქრა, ვინაა ეს უპატრონო, ქუჩის ძაღლი, ჩემს ლეკვს როგორ მივაკარებო. მე, რა თქმა უნდა, შორს არ წაგსულვარ და მოთმინებით ვათვალიერებდი ორივეს. ცისფერთვალება ინტერესით შემომცეკეროდა, ჩემს მისვლას ელოდა. კვლავ მივუახლოვდი, მაგრამ პატრონმა დიდი ძაღლივით დამიღრინა. შევკრთი, ცოტათი კი შემეშინდა, მაგრამ არ შევიმჩნიე. აი, სწორედ მაშინ ვიფიქრე, რომ ორივე უნდა დამემორჩილებინა, ლეკვიც და მისი პატრონიც.

ადამიანებთან ურთიერთობა რთული არ არის, მით უმეტეს, თუ ცოტა ჭერა გიჭრის. ყველაზე მთავარია, თავი შეაცოდო და იმაზე მეტად უბედურად მოაჩვენო, ვიდრე სინამდვილეში ხარ. დანარჩენი ადვილია. თუ საჭმელს ვინმე შემოგთავაზებს, ისე უნდა მიიღო, თითქოს ერთი წლის მშიერი იყო და მაღლიერი სახით შეხედო. მთავარია, თვალი თვალში გაუყარო. ჩვენი

მეტყველი თვალების ყურება ძალიან მოსწონთ. თუკი მოახერხებ, რომ თავზე ხელი გადაგისვას, აი მაშინ, ჩათვალე, რომ არასოდეს დაავიწყდები...

ახლა ჯობს აღარ მივეკარო და ხელსაყრელ დროს დაგელოდო.

ჩორნა

2008 წლის ნოემბერი

მასსენდება ჩვენი პირველი შეხვედრა. ამის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ცისფერთვალებას თურმე ოთხი პატრონი ჰყოლია. ასაკოვანი კაცი, ანუ ტატო, შარვლიანი ქალბატონი რუსო, ახალგაზრდა კაცი ოთო და მისი უფროსი ძმა ვატო. როგორც ჩანს, მათ ბევრი კარგი რამ შეიტყვეს ჩემზე. ტრაბახში ნუ ჩამომართ-მევთ, მაგრამ პარკში ბევრი ადამიანი მიცნობს. ზოგმა ისიც იცის, როგორ მოვხვდი აქ, როგორ დავრჩი მარტო, სრულიად პატარა. უმეტესობა კარგად მექცევა, ხშირად მაქებენ. ჩამოყალიბებულია აზრი, რომ ვარ გონიერი, მიყვარს ადამიანები და, რაც მთავარია, ჩვენი საყვარელი გია ექიმის მიერ ცოფზე აცრებიც კი მაქვს გაკეთებული. ამრიგად, მე არა მარტო ჭკვიანი და კეთილი ვარ, ადამიანებისთვის საშიშროებასაც არ წარმოვადგენ.

გარდა ამისა, არც ერთ ხროვაში არა ვარ გაერთიანებული, რომლებიც ხშირად აუტანებელია ადამიანებისთვის. ყოველთვის მარტო ვარ. თუმცა ცოდვა გამხელილი ჯობს და ცხოვრების ერთი თანამგზავრი ნამდვილად არ მაწყენდა. კარგ გოგონებს რა გამოლევს პარკში, მაგრამ მე ცისფერთვალებასკენ მიმიწვევს გული.

ამ ერთი თვის განმავლობაში ბევრი ახალი ამბავი მოხდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ პატრონებთან უმაღლეს დონეზე ჩავატარე სამუშაო და შედეგიც მივიღე – არც ერთი ადარ მაგდებს, პირიქით, ზოგჯერ საჭმელსაც მაჭმევენ. რუსო კი თავზე ხელს მისვამს, მეფერება და საალერსო სახელს მეძახის ენის მოჩლექით – ჩოლნა, პატალა, საკვალელო და კიდევ რადაც სიტყვებს. სხვისგან შეიძლება ძალიანაც არ მესიამოვნოს ასეთი ფამილარობა, მაგრამ ცისფერთ-ვალება ჩარას პატრონისგან ყველაფერი მისაღებია.

ჩარა

2008 წლის ოქტომბერი

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არც ჩემი მშობლები მახსოვს, არც და-მძა. მამაზე ლაპარაკიც არ არის, რადგან, როგორც გადმომცეს, მგონი საერთოდ არ ვუნახივარ. დედა ვიცი, რომ მყავდა, საჭმელს მაჭმევდა, მიფრთხილდებოდა. ახლა კი, ალბათ ერთმანეთს ვეღარც ვიცნობთ. და-მძასთან თამაშიც კი ვერ მოვასწარი ხეირიანად. არ დამავიწყდება, სამი თვისაც არ ვიყავი, ჩემმა მომავალმა პატრონმა როგორ ამომარჩია, ხელში ამიყვანა და დიდ მანქანაში ჩამსვა. ასეთ მანქანაში პირველად აღმოვჩნდი, ცოტა შემეშინდა და დავიწყმუტუნე, მაგრამ ახალგაზრდა კაცმა თავზე ხელი გადამისვა. მესიამოვნა და დავმშვიდდი. შემდეგ რომელიდაც შენობასთან მივედით, ლიფტში შევედით და მეოთხე სართულზე გადმოვედით. შინ რომ შემიყვანა, შევშინდი და კარს ავეკარი, უკან მინდოდა დაბრუნება, მაგრამ რა ვიცოდი, ბედმა თურმე კარგ ადამიანებთან მომახვედრა.

ბინაში სამნი დამხვდნენ. რუსო ისე შემეგება, როგორც ომიდან დაბრუნებულ სამი წლის უნახავ შვილს. ემოციებმა და კივილმა ცოტათი კი შემაკრო, მაგრამ სწრაფად მივხვდი, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო, რომელსაც ყველაზე მეტად ვეუვარებოდი, გამანებივრებდა და ყველა სურვილს ამისრულებდა. იმასაც მალე მივხვდი, რომ ტატოსთან ყველაფერი არ გამიგიდოდა, თუმცა წინასწარ დანებებას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებდი.

რაც შეეხება ვატოს, არასოდეს დამავიწყდება მისი რეპლიკა პარკეტზე გაკეთებულ გუბეზე – ლეკვის მოყვანა თქვენი დიდი შეცდომა იყოო. მართალია, მას სასეირნოდ არ გაყვავდი, არ მაჭმევდა, მაგრამ სამსახურიდან გვიან რომ ბრუნდებოდა დადლილი, ისე გულიანად მეთამაშებოდა, ვგრძნობდი, რომ ნამდვილად ვუყვარდი. ასე რომ, პირველივე დღეს ვიფიქრე და შემდგომში ეს აზრი გამართლდა კიდეც: ჩემი პატრონი უნდა ყოფილიყო ოთო, რომელმაც მომიყვანა, ჩემი პარტნიორები და მეგობრები – ტატო და ვატო, ხოლო მოსამსახურე – რუსო, რომელსაც ალბათ ყველაზე მეტად ვეუვარდი.

სახლში ცხოვრების პირველსავე დღეებში გავაკეთე საოცარი აღმოჩენები. პირველი: რასაც ადამიანები ჭამენ, თურმე ძალიან გემრიელია და შეიძლება მეც ვჭამო, მაგრამ რატომ მიკრძალავენ, ამას ვერ ვხვდები. მეორე აღმოჩენა ისაა, რომ გუბის გაკეთება თურმე შეიძლება არა მარტო ჩვენი სახლის პარკეტზე, არამედ ქუჩაშიც, ასფალტზეც ან ბალახზეც.

ბინა კარგად დავათვალიერე. ბევრი ოთახია და სხვადასხვა სახელი აქვთ – სამზარეულო, ტუალეტი, აბაზანა და კიდევ რადაცები. ორი ოთახის კარი ჩემთვის დაკეტილია. როცა კი შესვლა დავაპირე, მაშინვე გამომაგდეს. თავიდან გადავწყვიტე, რომ იქ ალბათ

გემრიელ საჭმელებს ინახავენ და მე არ მაჩვენებენ-
მეთქი, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ერთ ოთახში ტატოს
და რუსოს ეძინათ, მეორეში კი – ვატოს. ოთოს საძილე
ოთახში შესვლა ყოველთვის შემეძლო, ოდონდ ლოგ-
ინზე დაწოლას მიკრძალავდნენ და ამიტომ დიდი დი-
ვანი დაგისაკუთრე.

ვფიქრობ, ჯობს ადამიანები არ გავაბრაზო და
როცა რაიმეს სასტიკად მიკრძალავენ, დავემორჩილო.
გამიგია, გაბრაზებულ კაცს ბევრი ცუდის გაკეთება
შეუძლია, ისეთის, რაც ჩვენ, ძაღლებს არც კი დაგვე-
სიზმრება. იმასაც ამბობენ, ადამიანები ერთ მჭიდროდ
დასახლებულ ქვეყანაში ლეკვებსაც კი ჭამენო, ეს
გაბრაზებით მოსდით თუ ღორმულობით, არ ვიცი,
მაგრამ შემზარავი ფაქტი კია და! ასეა თუ ისე, უკუ-
თესია, არავინ გადავიმტერო.

რადაც პერიოდი სახლში სრულიად მარტო ვრჩე-
ბი. პირველად ვიფიქრე, ალბათ მიმატოვეს და სხვა
ლეკვთან გადასახლდნენ-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი,
ეს სისულებელ იყო – ჩემი გულისთვის ამ ძვირფას
სახლს არავინ მიატოვებდა. მართლაც, რამდენიმე
სანში ყველა რიგრიგობით დაბრუნდა. მარტო ყოვ-
ნით ვსარგებლობდი, პატრონები კი მოსვლისთანავე
ხვდებოდნენ, ვისი გამოხრული იყო ბოტასები, ვისი
დახეული იყო ცხვირსახოცები და თეთრეული, ვისი
გაკეთებული იყო გუბე ოთახის ცენტრში, მაგრამ
რადგან ეს ყველაფერი უკვე მომხდარი იყო, გაბრა-
ზებასაც ნახევარი ძალით გამოხატავდნენ და ერთმა-
ნეთს მოუწოდებდნენ, ნივთები კარადის თავზე დაგ-
დოთ. ჩემი მისვლის შემდეგ ოთახებმა სახე იცვალა,
ნივთების უმეტესობამ მეტრანახევრით ზემოთ აიწია,
ბინაში მეტი სივრცე გამოჩნდა.

ჩარა

2008 წლის ნოემბერი

რატომაა, რომ ისეთ რამეებზე მიწყრებიან, რაც ჩემთვის საოცრად სასიამოვნოა? აი, მაგალითად, ვზივარ უკვე ჩემს დასაკუთრებულ სავარძელზე, ერთი სული მაქვს, სახელურის ღრღნა დავიწყო, და ტატო მაშინვე მიბრაზდება: ფუ! ფუ!

ნამდვილად არ მიყვარს გაბრაზებული ადამიანების ცქერა, მიყვარს, როცა ყველა კარგ ხასიათზეა და მევერებიან. რა გაეწყობა, იძულებული ვარ, მოვიკლო ეს სიამოვნება, შევწყვიტო ღრღნა. ვიყურები გვერდით, სივრცეში, თითქოს შენიშვნა ჩემთვის არ მოუციათ, თითქოს არაფერი მომხდარა. მინდა დავაჯერო, რომ ადარ გავაკეთებ, თან ვფიქრობ, ნერა მალე გავიდეს ოთახიდან და მარტო დავრჩე. ასეც მოხდა და გავაგრძელე ჩემი საქმე, მაგრამ ვინ გაცალა. ახლა რუსო შემოვიდა და მანიშნა, ნუ შვრებიო. ბევრი ფიქრის მერე გადავწყვიტე, მოდი, სახელურს ზევიდან დავაფარებ თათს და ქვევიდან ჩუმად მიგწვდები კბილებით, ნამდვილად ვერ დამინახავენ, რას ვაკეთებ-მეთქი, მაგრამ ადამიანებს მოატყუებ? მაშინვე მიხვდნენ ყველაფერს, მასხერადაც ამიგდეს. არაფერია, ხომ წახვალთ ყველანი სამსახურებში, მერე მე ვიცი, რასაც ვიზამ.

მართალია, ლეპვი ვარ, მაგრამ მნელი ასატანია, რომ პირვენებად არ მიაჩნიახოთ და გამცირებენ. აი, გუშინ სტუმრები მოვიდნენ – ახალგაზრდა ბებია და სამი წლის შვილიშვილი, ლამაზი გოგო ანა თუ სტასია, რაღაც ასე ეძახდნენ. ბევრი ვითამაშეთ, ვიხალისეთ, მეფერნენ, ვეფერე. შემდეგ პატრონებმა სტუმრები სამზარეულოში შეიყვანეს სავახშმოდ. მე კი კარი მომიხურეს, რომ არ შემეწუხებინა. მესმის, დანა-ჩანგალს აწკარუნებენ, ლაპარაკობენ, იცინიან.

მე შუშიდან ვიყურები და ყველაფერს ვხედავ. გული დამწედა, შეგწუხდი, ტირილი და ყმუილი მომინდა, მაგრამ თავი შევიკავე, ხმა არ ამომიდია. წავედი ლოჯიაში და სერვანტის ქვეშ შევჭავი ცხვირი. დავ, აქ ვიყო, აღარასოდეს გამოვალ, თუ არ გუნდივართ, იყვნენ თავისთვის და მიირთვან ნამცხვრები.

უცებ ფეხის ხმა გავიგონე, რუსო მოვიდა, მომევერა, ბოდიში მომიხადა, აღარ გაგაგდებო, ეს ერთი გვაპ-ატიე საყვარელო. მეც ეს მინდოდა, სიხარულით ცას ვეწიე. ჩემისთანა ბედნიერი იმ დღეს არც ძალი ყო-ფილა და არც ადამიანი.

ჩარა

2009 წლის მარტი

გუშინ ყური მოვკარი, რომ სკოლაში უნდა წამიყ-ვანონ. იყო ტელეფონებზე რეკვა და მასწავლებლების შერჩევა. ბოლოს შეჩერდნენ დათოზე და ალბერ-ტზე, სწავლის თანხაც ხელსაყრელი იყო და თვითონ სკოლაც ახლოს აღმოჩნდა, ვაკის პარკში. ძალიან მაინტერესებდა, რა იქნებოდა, იმიტომ, რომ უბანში არც ერთმა ძაღლმა არ იცოდა, რას ნიშნავდა სკოლა-ში სიარული. ჩორნამაც გაურკვეველი პასუხი გამცა. ერთი სიტყვით, ეჭვი გამოჩნდა, რომ პატარა ბავშ-ვივით უნდა წავეყვანეთ და რაღაც საშინელი საგნები – ფიზიკა, ტრიგონომეტრია და სუფთა წერა უნდა მესწავლა, მაგრამ როდესაც მივედით, ყველაფერს მივხვდი. სკოლა – ეს იყო რკინის ბადისლობიანი პატ-არა მოედანი, ბავშვები რომ დადიან ფიზულტურაზე, ისეთი. მე უნდა მესწავლა სხვადასხვა ბრძანების შეს-რულება – „გვერდით“, „ჩემქენ“, „დაწექი“, „დაჯექი“

და ასე შემდეგ. აქ მოიყვანეს კიდევ ერთი ჩემი ასაკის გოგო, შავი კანე-კორსო, სახელად კორა, რომელიც ცოტა უჟმური კი იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა მასთან ერთად ყოფნა.

თავიდან ვიფიქრე, რომ აქ ყოფნა საინტერესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ მალე ყველაფერი მომბეზრდა, რადგან ვერ ვხვდებოდი, რა საჭირო იყო ერთი და იმავეს გამეორება. ყველაფერს მხოლოდ ტატოს ხათრით ვაკეთებდი და ერთი სული მქონდა, ეს მეცადინეობები დროზე მორჩენილიყო და პარკში გამესეირნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ახალი საწვალებელი გამიჩინეს. ეზოში დაალაგეს სხვადასხვანაირი მოწყობილობა, რომლებზეც თანმიმდევრულად უნდა გადამერბინა, გადავხტომოდი და გავმძღვრალიყავი. პირველად ვიფიქრე, თუ სხვები აკეთებენ, მეც გავაკეთებ-მეთქი და, რა თქმა უნდა, მოვახერხე, მაგრამ ძალიან მოსაბეზრებელი იყო კიბეზე ასვლა, აიწონა-დაიწონაზე გადასვლა, ძელზე წონასწორობის შენარჩუნება, ბარიერის დაძლევა და სხვა დანარჩენი მარაზმები.

გვერდით ვინც მედგა, მამხნევებდა ხოლმე, ხან ალბერტი მომდევდა, ხან ტატო. როცა შვიდივე დაბრკოლებას გადავლახავდი, ყველა – მწვრთნელები და მაყურებლები ტაშს მიკრავდნენ, ჩემ სახელს ყვიროდნენ – ყოჩად, ყოჩადო და რაც მთავარია, წვალება მთავრდებოდა. ბოლო წინააღმდეგობა გვირაბში გაძრომა იყო.

ეს სისულეელე ყოველდღე ხუთჯერ მაინც უნდა გამეკეთებინა, ანუ შვიდივე დაბრკოლება უნდა გამევლო. ვიფიქრე, ესენი თავს არ დამანებებენ და იქნებ საქმე გავითოლო – გადავლახავ ამ ბოლო წინააღმდეგობას, გავძვრები გვირაბში, ტაშსაც დამიკრავენ და მოვისვენებ-მეთქი. ასეც მოვიქცი, პირდაპირ გვირაბს მივადექი და გავძვერი, გუშურებ მწვრთნელებს და

მაყურებლებს – ტაშს არავინ მიკრავს, პვდებიან სიცილით – რა მოიგონა ამ ზარმაცხა თაღლითმაო. რა ვუყო, გინდა დამცინონ, გინდა გამლანძღონ, ოდონდ დროზე გამიყვანონ პარკში.

პარკი საინტერესო ადგილია. ყოველდღე ახალი ამბები ხდება. აი, გუშინ ვნახე ცხენები და მათი პოლიციელი პატრონები. ჯერ ცოტათი დავფრთხი, მაგრამ პატრონი მომეფერა და გამიხარდა. მეორე დღეს, თქვენ წარმოიდგინეთ, ვაკის პარკში ძროხები ვნახე, დიახ, შიგ პარკში. ვიფიქრე, გამოვრეკავ, მაგრამ პატრონმა ჯოხი მომიქნია, უნდა მეტქავ, მაგ ჯოხით საკუთარ ძროხებს მიხედვ-მეთქი, მაგრამ როგორ გინდა გააგვანონ?

ერთხელ აღმოვაჩინე ყვავების გუნდი, ნაგავში იქექებოდნენ. გავიტრუნე, ჩავუსაფრდი და ველოდები. ამ დროს ტატო დამადგა თავზე დაფეხული, თურმე იფიქრა, დამეკარგაო. როგორც კი მომიახლოვდა, საბეჭი გამიკეთა და სახლისკენ წამიყვანა. აი, რომ გავიზრდები, პატრონები აუცილებლად წამიყვანენ სანადიროდ, მანამადე კი ალბათ თოვებს და მშვილდისრებს მოიმარაგებენ.

ვაკის პარკი ძალიან კარგია, უამრავი ძაღლი და ადამიანი გავიცანი. აქ სკამებზე სხედან შეყვარებულები და ერთმანეთს კოცნიან, ზოგიერთი კი ფეხზე დგას და ისე კოცნაობს – ესენი ალბათ ძალიან არიან შეყვარებულები და დაჯდომა არ შეუძლიათ. მომწონს ორმოების ამოთხრა, ძაღლებთან ჭორაობა, განსაკუთრებით პატრონებზე, პოლიტიკა ნაკლებად გვაინტერესებს. რადა თქმა უნდა, კატების შეშინებაც მიყვარს.

არ მიყვარს, პარკში მოტოციკლები რომ დაჭრიონ, ხმაურობენ და ბოლავენ, თუმცა მე ვინ მეკითხება.

ამას წინათ ტატომ პარკში წამიყვანა. უცებ საიდან-დაც ხროვა გამოჩნდა, ჩემი პატრონი ალყაში მოაქციეს და დრენა დაუწეუს. შევატყვე, ძალიან შეეშინდა და დაიბნა. სასწრაფოდ ოთხივესთან ცალ-ცალკე მივედი, თითო სიტყვა ვუთხარი, ოღონდ არ მკითხოთ, რა. და ხროვა ნელ-ნელა დაიშალა, თავის გზას გაუდგა. ტატო ძალიან ამაყობდა ჩემით, მე კი იმ დღეს სიამ-ოვნებით ვიხსენებ.

ჩარა 2009 წლის აკრილი

ამ ჩორნას მთელი პარკი იცნობს, ნამდვილი ვაჟკაცია, მამაცი და ჭკვიანი. ვატყობ, რომ ჩემთან მეგობრობა უნდა. მე, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, ვიცი, რომ ზედმეტს არაფერს მაკადრებს – მხოლოდ მოფერება და კოცნა. ხშირად მეთამაშება. ამ თამაშობაბუღრანაობაში ბევრი სასარგებლო ილეთი ვისწავლე – კისერზე და ლოყაზე კბილების დაჭერა, მოულოდნელად ფეხზე ჩაჭიდება და მრავალი სხვა. ასეთი მწვრთნელი ჯერ არ დაბადებულა. მის ნასწავლ ხერხებს ყოველთვის წარმატებით ვიყენებ, გინდა ამერიკულ ბულდოგთან და გინდა, კავკასიურ ნაგაზოან. ასე რომ, თამაშში ვერავინ მჩაგრავს.

ნამდვილი ჩხუბი და სისხლისდვრა არ მიყვარს. ეგ კი არა, ხშირად მოჩხუბარი ძაღლები გამიშველებია, ჩემებურად, ქალურად. რა აზრი აქვს ერთმანეთის დასახიჩრებას ან მოკვლას? ამით ხომ ზოგიერთ ხარბ ადამიანს ვამდიდრებთ და მეტი არაფერი, ფული სხვა რამით იშოვონ.

ჩორნა

2009 წლის მაისი

ვდგავართ პარკში ბიჭები, ვაბირუავებთ, სულ სამნი ვართ – შუსტრი რექსა, ცალთვალა ბიბიკა და მე. ვხდავთ, პატრონს მოჰყავს თეთრი გოგო, პუდელი, ძვირფას საბელზე გამობმული, ლამაზადაა გაკრეჭილი, ბატკანს ჰეაგს. ამაყად გვიყურებს, გვანიშნებს, რომ პატრონი ჰყავს, მოვლილია, კარგს ჭამს და კარგს სვამს. ცხადია, რომ საგვარეულოს ცნობა და სურათიანი პასპორტიც პატრონს სათუთად აქვს შენახული სახლში, გამოფენაზე აღებულ დიკლომებთან ერთად, და, რაც მთავარია, აცრების, ჭიის წამლების და მწერების საწინააღმდეგო წვეთების აღრიცხვის ანკეტაც გვერდით უდევთ.

გამოდის, ამ პუდელს ავად გახდომა არ ემუქრება და შეუძლია ბედნიერად იცხოვროს სიკვდილამდე, მაგრამ იცით, რა არ შეუძლია? ერთი საათითაც რომ გამოვიდეს ქუჩაში ან პარკში და თავის გემოზე იყოს, მთელი დამის გარეთ გატარებაზე რომ არაფერი ვთქვათ. არადა, ესაა ცხოვრება! ყველაზე საინტერესო ქუჩაში და პარკში ხდება, განსაკუთრებით დამით. ადამიანებს სძინავთ, მანქანები არ დადის, შენ კი რასაც გინდა, იმას აკეთებ. თუ ბედმა გაგიღიმა და კოხტა გოგო შეგხვდა სადმე, და მიუალერსე, ამ ნეტარებას ძაღლის ენა ვერ გადმოგცემს. შეიძლება გოგო არ შეგხვდეს და ძველ ბიჭებს გადაეყარო. ესეც ძალიან მაგარია. ხშირად იწყება შეტაკება, შეიძლება სისხლიც დაიღვაროს, მაგრამ მაინც კარგია, თავს კაცად გრძნობ.

ქუჩაში ზოგჯერ ისეთ გემრიელ საჭმელს იპოვი, პატრონი რომ სახლში არაფრით არ გაჭმევს. მოკლედ, დარწმუნებული ვარ, ეს თეთრი პუდელი ალბათ ისე

მოკვდება, ამ სიამოვნებებს ვერასოდეს იგრძნობს.

ხომ ამბობენ, ქუჩის ძაღლები ჭიკვიანები არიანო. პოდა, მეც ასეთი ვარ. რაში გამოიხატება ჩემი ჭიუა? – ერთგულებაში. ვინც კი ერთხელ მაინც მომეფერა, ან ლუკმა გადმომიგდო, ყველა მიყვარს, რამდენი ხანიც უნდა გავიდეს, არავინ მავიწყდება. თუ ვინმეს დაცვის ან რაიმე სიკეთის გაკეთების საშუალება მომეცა, ეს ადამიანებს არ ავიწყდებათ და ყოველთვის ადფრთოვანებით ჰყებიან ყველა წვრილმანს. ჩემი ერთგულებით ადამიანებს თავს ვაყვარებ, ეს არის ჩემი ჭიუა და სულაც არ მჭირდება ინგლისური და კომპიუტერი.

ჩარა

2009 წლის აგვისტო

მთელი თვეა, მესმის, რომ უნდა წამიყვანონ დუშეთში. ახალი ადგილები, მოგზაურობები ძალიან მიყვარს. მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს ჩამსვეს ტატოს მანქანაში, უკან. გვერდით მეჯდა ნანა. გზაში ფანჯრიდან ვათვალიერებდი საქართველოს ბუნებას. ლამაზია, მაგრამ ყინულები და თოვლი არ შეგვხვედრია. ერთ საათში უკვე დუშეთში ვიყავით. დუშეთი – ეს არის სახლი და შემოლობილი ეზო. ღობის მეორე მხარეს ცხოვრობს შავკაბიანი ბებია და ეზოში ჰყავს დიდი ჩიტები, ანუ ქათმები, რომლებიც მაღლა ვერ ფრინდებიან. ძალიან გამიხარდა, ღობეში გასაძრომი მოვძებნე, მივეპარე და ორივე დავითრიე. ჯერ ატყდა კრიახი, შემდეგ ხმა თანდათანობით ჩაიკმინდეს და მოძრაობა შეწყვიტეს. ამ დროს შემოვარდნენ პატრონები, ნანადირევი წამართვეს და გამომლანძღეს.

დაგრჩი კუდამოძუებული და შეურაცხყოფილი. მერე გავიგე, რუსოს მეზობელი ბაზარში წაუყვანია და ახალი ქათმები უყიდია. რუსო შემეცოდა. მე ხომ მასზე მზე და მთვარე ამომდის. ოჯახში ყველა მიუვარს თავისებურად, რუსო კი დედაქემს მაგონებს, ყველა სურვილს რომ მისრულებდა. თუ საჭირო გახდა, მისი გულისთვის თავსაც გავწირავ!

უბანში ცხოვრობდა ერთი პატარა, წითური გოგო, რომელსაც რუსო საჭმელს აჭმევდა. სახელად ერქვა პაკო. პაკო ცდილობდა ჩვენს სახლში შემოსვლას და აქ გაპარპაშებას, რასაც მე, ბუნებრივია, არ დავუშვებდი. მას ნათლად ავუხესენი, რომ: а) სახლში შემოსვლა არ შეიძლება; ბ) ჭამა შეიძლება მაშინ, როცა მე დაგამთავრებ ან რამე დამრჩება შესაჭმელი; გ) ზედმეტი ხმაური და ყეფა მხოლოდ ქუჩაში.

პაკომ თითქოს ყველაფერი გაიგო, მაგრამ ჯიუტად ცდილობდა სამივე ჰუნქტის დარღვევას. შემოსასვლელთან დაწვებოდა და ელოდა ჩემს დაძინებას. მე ძილს არ ვიკლებდი, მეძინა, მაგრამ ცალი თვალი ღია მქონდა და ყველაფერს ვაკონტროლებდი. ასეთი თავხედი ძაღლი არ მინახავს, თუმცა რად გინდა, გენაცვალე, მიუხედავად თავისი უშნო სიფათისა, ორჯერ გათხოვდა და ოთხ-ოთხი ლეკვიც კი დაყარა. თან მეორედ რომ გათხოვდა, უკანა ფეხი უკვე მოტეხილი და დამოკლებული ჰქონდა. აი, ზოგს როგორი ბედი აქვს! ნეტავ ჩემი გათხოვების ამბავი როგორ იქნება? ამას, ალბათ, როცა დრო დადგება, ჩემი რუსო გადაწყვეტს. ყური მოვკარი, რუსოს ნაცრისფერი ჰასკი – რუფუსი მოსწონს. მაგაზე არც მე ვიტყოდი უარს. ვნახოთ, რა გამოვა!

გიგა – თეთრი ლაბრადორის პატრონი 2009 წლის სექტემბერი

პარკში ვასეირნებთ ძაღლებს. მივადექით კორტების გვერდით პატარა მდელოს. სამნი ვართ – მე, ჩარას პატრონი და გელა თავის შავ მეძებართან ერთად. ჩორნაც აქაა, მხართემზე წამოწოლილი, ხან ჩოგბურთელებს გასცემის, ხანაც უკანა ფეხით კისერს იქექავს. ძაღლები ისვენებენ, ჩვენ ვდგევართ და ვმასლაათობთ, ერთი სიტყვით, სრული იდილიაა. უცებ გზიდან გააფთრებული ყველის ხმა გაისმა, დავინახეთ ჩვენსკენ მორბის ორი უზარმაზარი ძაღლი ისე სწრაფად, რომ ხეირიანად შეშინებაც ვერ მოვასწარით, იმასაც ვერ მივხვდით, ჩვენი დაგლეჯა უნდოდათ თუ ჩვენი ძაღლების, და საერთოდ, რა ჯიშისანი იყვნენ. ჩვენამდე ორიოდე მეტრი ჰქონდათ დარჩენილი, რომ მათ წინ ჩორნა გადაუდგა, თუმცა ზომით მათი ნახევარიც ძლივს იქნებოდა. ერთმანეთს რომ შეასკდნენ, პაერში სულ მტვერი და ბალანი აცვივდა. კაცმა არ იცის, რით დამთავრდებოდა ეს შეტაკება, ჩორნას ნაღდად საშინელ დღეში ჩააგდებდნენ. ბედად, მაშინვე ამ ძაღლების პატრონები მოცვივდნენ აქოშინებულები და თავიანთი ძაღლები დააშოშმინეს, შემდეგ ბოდიშები გვიხადეს, ძაღლებს საბელები გამოაბეს და თვალს მიეფარნენ.

ერთი სიტყვით, ამ ჩორნამ დღეს ჩვენი გულისთვის თავი გადადო.

ჩარა

2009 წლის ნოემბერი

ახლა მოგიყვებით, როგორ მოვახერხე უზრდელი შარპეის მოხიბვლა. რაღა დაგიმალოთ და ძალიან მიყვარს ბიჭების მოხიბვლა. თანაც ეს კარგად მეხერხება – ვიცი ჩემი სილამაზე, ჩემს ცისფერ თვალებს გულგრილად ვერავინ გაუვლის. თუმცა, პატიოსანი გოგო ვარ და ზედმეტები – ეს სექსები და მექსები სხვისიც არ მომწონს. სხვათა შორის, ვიცი, რომ ჩემნაირი წესიერი გოგო-ადამიანებიც არიან ამ ქვეყანაზე, ზოგი კი ფანდურზეც მდერის: „მოვაკვლევინებ სურვილსა, ახლოი არ გავეკარები“, თუ რაღაც ამნაირი.

ეს შარპეი ჩვენ გვერდით კორპუსის პირველ სართულზე, ეზოში გამომავალ აივანზე ცხოვრობდა, თავს რიკულიდან გამოყოფდა და ყველას უყევდა, ზოგჯერ უაზროდაც. როგორც ეზოში ამბობდნენ, ამ შარპეის ყიდვა პატრონებს ძვირი დაჯდომიათ. შემდეგ უშოვიათ გამოცდილი მწვრთნელი, დიდი თანხაც მიუციათ და სასწავლებლად გაუტანებიათ. რამდენიმე დღეში ამ მწვრთნელს უთქვამს, თავი დამანებეთ, ეს ძაღლი მომაშორეთ და ფულს იქით მოგცემთო. რატომ ჩავარდა ასეთ სასოწარპეტეთაში ეს კაცი, დეტალებს არ ყვებიან. ძალიან მოკლედ კი ითქვა – არ იწვრთნებაო. როგორც ჩანს, მარტო ამაში არ იყო საქმე. გუშინ ჩავედი ეზოში, ვხედავ, შარპეი მოწყენილი იყურება რიკულებიდან და თვალები ეხუჭება. მე რომ დამინახა, გაინაბა, ვიგრძენი, მოვეწონე და ჩემი მოფერება მოუნდა. მე კუდი მომხიბვლელად გავაქიცინე და ნარნარი მოძრაობით მისკენ გავემართე. საწყალს გარეთ გამოსვლა არ შეეძლო, აივანზე წინ და უკან სირბილი და წერტუნი დაიწყო. მე უკანა ფეხებზე დავდექი, ავიწიე და რიკულებს შორის შევყავი სახე

– ლოგაზე კოცნის საშუალება მივეცი. გაგიქდა და გადაირია. მეც ეს მინდოდა, მიწაზე დავეშვი, ზურგი შევაჭიე და ჩემს გზას გაფუდექი. დიდხანს მესმოდა მისი უიმედო ყევა.

დათო (ტატოს მეზობელი) 2009 წლის ნოემბერი

მას შემდეგ, რაც ჩვენმა მეზობლებმა სახლში ცის-ფერთვალება ჰასკი მოიყვანეს, ეს ხალხი სულ გამოიცვალა, ასეთი ბედნიერები მგონი არასდროს ყოფილან. გამოჰყავთ ჩარა, ასეირნებენ, გზაში, ვაკის პარკამდე არის შეხვედრა-მისალმებები და მოვერებები – ჩარა, რა ლამაზი ხარ, საყვარელო, შვილები რომ გეყოლება, ერთი მაჩუქე, შეიძლება ძეხვი ვაჭარ? და ასე შემდეგ.

თვითონ ჩარა მოსიყვარულე რომ იყო და ჩხუბი არ უყვარდა, მოჩხუბარი ძაღლებიც რომ ჰყავდა გაშველებული, გაგონილი მქონდა, მაგრამ, რაც დღეს ვნახე, ამან უველავერს გადააჭარბა. არა, ხალხო, ეს ძაღლი ნამდვილად მშვიდობისმყოფელი და დიპლო-მატი ყოფილა, ნაღდად საგარეო საქმეთა სამინისტროშია გასაშვები. ბევრი რომ არ გავაგრძელო, აი, რა მოხდა. მოვდივართ შინისკენ მე და ჩემი პატარა შვილი. ვხედავთ, სახლის წინ ჩარა უშველებელ ცომბირულ ლაიკასთან – აკელასთან ერთად დგას და ჭორაობს. აკელა პატრონს, ბატონ რეზოს მსხვილ საბელზე ჰყავს გამობმული და ტატოს ელაპარაკება. ჩარამ დაგვინახა თუ არა, მაშინვე ჩვენსკენ გამოცუნცულდა, მოგვიალერსა და შემომახტა მოსაფერებლად. ამ დროს აკელამ, ეტყობა რაღაცით არ მოვეწონეთ, საშინელი ყევა ატეხა და აგრესიულად

ჩვენსკენ გამოიწია, პატრონის შეგონებები არაფრად ჩააგდო. რადა დაგიმალოთ და დავიძაბე. იმავ წუთს ჩარა მიბრუნდა, აკელას მიუახლოვდა და როგორც მივხვდი, სოხოვა, გაჩუმდი, ხალხს ნუ აშინებო. აკელამ ჩვენდა გასაოცრად, მართლაც შეწყვიტა ხმაური და უქმაყოფილომ ზურგი შეგვაქცია. ბედნიერი ჩარა, საფრთხე რომ მოგვაშორა, კვლავ ჩვენთან მოვიდა და თამაში განაგრძო. ყველა გაოცებული დავრჩით. რაც უნდა მაგარი მწვრთნელი იყო, ასეთ რამეს ძაღლს ვერ ასწავლი, ეს თვითონ უნდა მოიფიქროს. ზოგიერთმა ადამიანმა ჩარას რომ მიბაძოს მშვიდობისმოყვარეობაში, ნამდვილად ცუდი არ იქნება.

ლომა 2009 წლის 25 დეკემბერი

მე, მმაო, ლომა მქვია და ეს არის ჩემი ხროვა. სულ ხუთი ვართ. ახლა არ დამიწყოთ, ხროვა ცუდია და საშიში, ყველანი დასაბრედები ხართო. მოგვეცით, ძმაო, თავშესაფარი, დღეში ერთჯერადი კვება მაინც და თუ მაშინვე ანგელოზებად არ გადავიქცევით, რაც გინდათ, ის გვიქენით. თქვენ ხომ ყველაფერი შეგიძლიათ! და საერთოდ, ჩვენ თუ ვახურებთ, თავს ვიცავთ და შიშისგანაც ვხმაურობთ. გვაქვს ჩვენი ტერიტორია და სხვისი არაფერი გვინდა. ვინმე ნაგლი თუ ცხვირს შემოყოფს, გავტისკავთ და მართლებიც ვიქნებით.

აი, შაბათს, ერთი პარკელი ჩორნა დაიჩითა, ჩვენს გოგოს უპირებდა ჩალიჩს. ჩვენ იმას დღე ვაყარეთ, რეანიმაციაც უედარ უშველის – ორივე ფეხი დაუუგლიავეთ და გვერდებიც ზედ მივაყოლეთ, ძლივს გაგვასწრო ცოცხალ-მკვდარმა. მერე გავიგეთ, ერთი კვირა

ხის ქვეშ გდებულა, ვერ ინძრეოდა მშიერ-მწყურვალი, შემდეგ ვიღაც ტიპებს წაუყვანიათ მოსასულიერებლად სახლში. ცოცხალი თუ გადარჩა, ჩვენსკენ ვეღარ გამოიხედავს. ჩვენ, ძმაო, მართლები ვართ და ამას ყველგან დავამტკიცებთ.

ჩორნა

2009 წ. 30 დეკემბერი

მართლაც ცუდი ამბავი დამემართა. ხუთი დღეა, მშიერი ვარ, ფეხზე ვერ ვდგები, დავსუსტდი, მამცვნებს, ჭრილობები მიჩირქდება. ბევრნი იყვნენ და მომერიენ. ნუთუ უნდა მოვკვდე? მერე იტყვიან, რა მოხდა, ძაღლი იყო და მოკვდაო. ჩვენი სიკვდილით ყველაფერი მთავრდება – არც სამოთხეში ხარ, არც ჯოჯოხეთში. უბრალოდ, აღარ ხარ, მორჩა და გათავდა. შეიძლება ერთი-ორჯერ ვიღაცას გაახსენდე, ესაა და ეს.

რა ხდება? თვალი გავახილე. ვხედავ, ოთო და გია ექიმი თავს დამდგომიან და რაღაცას ლაპარაკობენ. მე ისე ვარ, მოსმენაც არ შემიძლია, ნეტავი ფეხები არ მტკიოდეს. უცებ ორივე წავიდა. მარტო დამტოვებენ? არ მიშველიან? რამდენიმე ხანში ოთო და მამამისი მოვიდნენ, ხელში ამიყვანეს და მანქანაში ჩამსვეს. მანქანაში ჩაჯდომა მაინცდამაინც არ გამიხარდა, ვიცი, რატომ მიჰყავთ ხოლმე უპატრონო ძაღლები მანქანით, მაგრამ ამათ ვენდობი. სახლში სწრაფად მივედით, ამიყვანეს მეოთხე სართულზე, შემიყვანეს თბილ ოთახში, მაჭამეს, წყალი დამალევინეს, მერე გავიგგ, წამლებიც მოუციათ. ნემსიც გამიკეთეს, რუსომ ფეხ-

ები შემიხვია და დავიძინებ. სიზმარში ხროვა ვნახე, როგორ მგლეჭდნენ, ვწერუნებდი და გამედვიძა. კიდევ კარგი, სიზმარი იყო.

ჩორნა

2010 წლის 30 აპრილი

დღეს დიდი დღე იყო. მანქანით წაიმყვანეს ექიმთან და, რაც მთავარია, გაკეთებული მქონდა საბელი! ეს ნიშნავს, რომ მე ვიღაც უპატრონო, ქუჩის ძაღლი კი არა, უკვე პატრონიანი ვარ, მაშ! სანამ მანქანაში ჩავჯდებოდი, ეზოში მეზობლები პატივისცემით მიუურებდნენ. გზაში ნაცნობი ქუჩის ძაღლები შემხვდნენ, შურით შემომცეკვოდნენ. მე ამაყად ვუმზერდი და მისალმების ღირსადაც არ ჩავთვალე. რას იზამ, ასეთია ცხოვრება!

ალიკო ექიმმა გამსინჯა. ტატოს და ოთოს წამლების შესახებ რაღაც უთხრა, დაგვემშვიდობა და ფულიც კი არ გამოგვართვა. ალბათ კარგი ამბები მიუვიდა ჩემზე და ამიტომაც გაგვიწია შედავათი. ნეტავი კი მეშველებოდეს! ეს ოსტეომიელიტი ცუდი რაღაც ყოფილა – კანიდან სითხე გამომდის და მაწუხებს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად ჩაივლის, მე ხომ უპატრონოთა სიაში აღარ ვწერივარ!

ჩორნა

2010 წლის მაისი

მოდი შევაჯამოთ, რა მაქვს დღეს! სიკეთე – სახლში შემომიშვეს. მართალია, როგორც ავადმყოფი და ისიც რამდენიმე დღით, მაგრამ ხომ მაინც შევედი. აქ, რა თქმა უნდა, კარგია, თბილა, საჭმელი და სასმელი ბლობადაა. ერთი-ორჯერ ჩარას დასასვენებელ დივანზეც კი მოვახერხე აძრომა, მაგრამ ჩარამ იქიდან სწრაფად გამომაძევა. სახლი კარგია, მაგრამ ერთი ცუდი ის აქვს, რომ ცა არ მოჩანს, არც მზე, არც მთვარე, არც ღრუბლები, ქარიც არ ქრის და ხეები არ შრიალებს. ერთი სიტყვით, ერთი უშველებელი ყუთია, რომელიც ადამიანებს ძალიან მოსწონთ და, სხვათა შორის, ოცნებობენ, რომ უფრო დიდი ჰქონდეთ. ჩემს მიმართ ოჯახში ყველა ყურადღებითაა, განსაკუთრებით რუსოს ვუყვარვარ, წამლებს და გადახვევებს არ მაკლებს. ვიცი, რომ მალე გამოვჯანმრთელდები, ყველაზე სასიამოვნო კი ჩარასთან ახლოს ყოფნაა. ჩვენ ძველებურად გმეგობრობთ, ვძიგილაობთ და ჩემი ნატკენი ფეხი ამაში ხელს არ მიშლის.

ბოლო კვირაა, ჩარას უცნაურობებს ვამჩნევ. ადამიანები ამას „ატეხვას“ ეძახიან. მე ამდენი არ ვიცი. იმას კი ვამჩნევ, რომ საოცარი გრძნობები გამიჩნდა. თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ მივევერო და არ მივახტე. ამას პატრონები მიკრძალავენ. თვითონ ჩარა კი ყმუის, მემახის, მაგრამ ვაი, რომ რკინის კარი გვაშორებს ერთმანეთს. ველოდები, როდის გამოიყვანენ გასასეირნებლად, ან იქნებ ვინმე მოვიდეს, რომ კარი გაიდოს და დრო ვიხელთო, ჩარას გვერდით აღმოვჩნდე. თან რა სასიამოვნო არომატს აფრქვევს, ტვინს მირევს!

ქუჩაში ოომ გაჰყავთ, სხვა ბიჭი ძაღლებიც მისკენ მიიწევენ. მე ნერვები მეშლება, მზად ვარ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩავერთო ჩემი ჩარასთვის. ებ კი არა, უპვე გოგო-ძაღლებზეც ვეჭვიანობ, ვიღ-რინები, არ ვაკარებ ჩარას, არ ვიცი, ასე რატომ ამე-რია გონება.

გუშინ ყური მოვკარი, ჩარას პატრონს მეზობელი ეკითხება ჩემზე, რომეო რა იქნა, მთელი დღე არ გამოჩენილაო. რომეო რას ნიშნავს და რატომ დამარ-ქვეს, არ ვიცი, მაგრამ მგონი ცუდი სიტყვა არ უნდა იყოს (აშეარად ჩანს, ჩორნას არა აქვს წაკითხული შექსპირის „რომეო და კულიეტა“ - ტატო).

ჩორნა

2010 წლის მაისის ბოლო დღეები

არა, უნდა ვაღიარო, ოომ ჩარა მიყვარს, მისთვის თავს არ დავზოგავ. მართალია, სხვა გოგოებთან ნამყოფი ვარ, ერთხელ ტრაგიკულადაც კი დამთავრდა ეს ამბავი, მაგრამ ჩარა სულ სხვაა. მართალია, მას-თან სხვანაირად არც მივსულვარ, თუმცა ამას ჯერ-ჯერობით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩარას გარეშე ცხოვრებას აზრი არა აქვს. რა ბედნიერებაა მის გვერდით ყოფნა, სახის გალოპვა! მე, როგორც ნამდვილი ქართველი ძაღლი, ვერ დავუშვებ ჩარას გვერდით სხვა ბიჭს. ამას წინათ დავინახე, რომ უახ-ლოვდება უშველებელი ამერიკული ბულდოგი, სა-ცად მოვა და დაყნოსავს ჩემს ჩარას. ბევრი ფიქრი არ დამიწყია, ვეტაპე. მართალია, მომერია, კბილებიც დამასო, მაგრამ ჭკუა ვასწავლე, სხვა დროს ზედმე-

ტექსტის არ მოინდომებს. ორი დღის წინ კავკასიურ ნაგაზ ბასარასთან მომივიდა დიდი ჩეუბი. მერე რა, რომ ჩემზე სამჯერ მეტი წონა აქვს. ამაზე არც მიფიქრია. კიდევ კარგი, პატრონმა გამოგლიჯა ჩემი თავი პირიდან. შეეძლო მოვეკალი კიდეც, მაგრამ ასეთი ცისვერი თვალებისთვის ღირს თავის გაწირვა.

ცოდვა გამხელილი სჯობს და ერთხელ ჩარას გული დავწყვიტე. მივსეიორნობთ, მივკუსკუსებთ და უცებ შემოგვხვდა ერთი თეთრი გოგო, უჯიშო და უპატრონო, თუმცა ძალიან ეშხიანი. მე მისკენ გავიწიე და თვალიერება დავუწყე. ამ დროს მესმის ჩარას ყმუილი – გაოცებული და ნაწყენი მიყურებს. მივხვდი ჩემს შეცდომას, შეყვარებულის წინ სხვა გოგოებს არ უნდა დაუწყო არშიყობა. ასეთ რამეს მეორედ აღარ გავაკეთებ. თუ ისე მოხდა, რომ ჩარამ ვერ გაიგო, კიდევ ჯანდაბას, ხომ გესმით, ახალგაზრდა ვარ და სისხლი მიდუდს...

ჩარა 2010 წლის გაზაფხული

რა წაიდო ტვინი ამ ჩორნამ! და საერთოდ, ვინაა ეს ძაღლი, ერთი უპატრონო, პარკის ბიჭი, არც წინაპრების საბუთები, არც პოლიკლინიკის ანკეტა. კი ბატონო, ლუავობაში კარგად ვთამაშობდით, ილეთებსაც მასწავლიდა, რასაც ყოველთვის ვიყენებდი ნებისმიერი წონის ძაღლთან და ნაზი გრძნობებიც მქონდა ჩორნას მიმართ, მაგრამ ახლა ხომ არა ვარ პატარა. ნუთუ ვერ ხვდება, რომ მაგის ცოლი არასოდეს გავხდები? გულის სიღრმეში კი ახლაც მსიამოვნებს ასეთი

ყურადღება და მოფერება, მაგრამ მეტის იმედი რომ
არ უნდა ჰქონდეს, ამდენი ჭკუა არა აქვს? თან ყოველ
გასეირნებაზე გვერდით მომყვება, კარგი მცველივით,
საქმარისია, რომელიმე ბიჭმა ჩემდამი ინტერესი გამ-
ონიშნოს, მაშინვე შუაში ჩადგება, დრენას იწყებს და
მზადაა, შეეტაკოს. ასე რომ, არავის მაკარებს. თვი-
თონ კი, როგორც გავიგე (პარკში ჭორიკანებს რა
გამოლევს), სწორედ ვიდაცა ძუკნასთან წაუსწრიათ
ხროვის ძალებს და დაუგლეჯიათ. ახია მაგაზე. არა,
კი მეცოდება, რომ უკანა ფეხით დაკოჭლდა და და-
ინვალიდდა. მაინც სულ ჩხუბის ხასიათზეა. მე კი,
როცა მომიხელთებს, სულ მეფერება და მლოკავს.
ვერ გაიგო, ეს უკვე აღარ მაინტერესებს. მე კავკასი-
ური ნაგაზი ბასარა მომწონს – დიდი, ლამაზბეჭვიანი
ვაჟებაცი, დინჯი, სერიოზული, ზედმეტად რომ ხმას
არ იღებს და ამას წინათ ამ სულელ ჩორნას სულ
ბდლებირი რომ ადინა. რაღა დაგიმალოთ და ჩემი გუ-
ლისთვის ბიჭები რომ ჩხუბობენ, ძალიან მსიამოვნებს.
ასეთი რამ ხშირად ყოფილა.

არ იფიქროთ, ჩხუბის ყურება საერთოდ მიყვარდეს.
პირიქით, ყველა მიცნობს, როგორც მშვიდობისმყო-
ფელს. რამდენი მოჩხუბარი ძალი გამიშველებია თა-
ვიანთი პატრონების თვალწინ, იმდენი სიცოცხლე მე!
რაც შეეხება ჩორნას, მომბეზრდა მისი მეთვალყურე-
ობა და პნატონური სიყვარული (ჩარა, როგორც ჩანს,
გულისხმობს პლატონურ სიყვარულს - ტატო), მიხე-
დოს თავის ძუკნებს და კოჭლ მარცხენა ფეხს, ჩემი
პატრონები რომ უშედეგოდ მკურნალობენ აგერ უკვე
ნახევარი წელია. ან ეს ოთახში შემოსვლა და ლამით
დარჩენა რა წესია? რა, პარკში აღარ უნდა, თუ კარის
წინ წოლა მობეზრდა? ეგდოს თავის ადგილას და
გაიგოს, რომ ეს სახლი ჩემი ტერიტორიაა.

თამრიკო (ტატოს ნათესავი)

2010 წლის ივნისი

აუქტ, მე ვიცი, ეს ჩორნა და მაგის ისტორია, კორტეგიზე მწვრთნელებმა მიამბეს. დედამისი, ჯიშიანი და მოვლილი პოინტერი პატრონებს მიუტოვებიათ, პარკში ყველა ეფერებოდა და აჭმევდა. ერთ დღესაც დაორსულებულა, რა თქმა უნდა, ყველასთვის უცნობი ძაღლისგან. მერე გაუჩენია ჩორნა და მისი და-ძმები. უვლიდა თურმე თავის ლეკვებს, არავის აკარებდა მათ, არც ადამიანებს და არც ძაღლებს. იყო თავისთვის ბედნიერად. აი, შემდეგ მომხდარა საშინელება. ვიდაც კაცი გამოჩენილა პარკში, პისტოლეტით ხელში და ჩორნას დედა ლეკვების თვალწინ დაუხვრებია, იარაღი ჯიბეში ჩაუდვია და კმაყოფილი წასულა შინ. ასე დარჩა ჩორნა მარტო, და-ძმაც დაკარგულან. ამის შემდეგ ცხოვრობს პარკში და უცნაურია, რომ ადამიანების არ ეშინია. თქვენ როგორ დაგიახლოვდათ ეს ჩორნა? ჩარას მეგობარია, ხომ? კარგია, რომ უურადღებას აქცევთ. ცოდოა, ობოლია და უპატრონო. პარკშიც ჰყავს გულშემატეკივრები. ორი ქალბატონი ვიცი, მისთვის ყოველთვის მოაქვთ სახლიდან საჭელი.

ტატო

2010 წლის ივნისი

მივდივარ დილით მანქანით სამსახურში, ჭავჭავაძეზე ვხედავ, გვერდით მოდის ლამაზად შეღებილი ფურგონი, ახატია სიმპათიური ძაღლი და აწერია „ვეტერინარული დახმარება“. გავიფიქრე, რა კარგია,

ვიღაცა ძაღლებზე რომ ზრუნავს. გავჩერდით წითელზე ფურგონიდან შავპერანგიანი ვაჟკაცი გადმოხტა, რკინის მარწუხით ხელში და იქვე ხის ქვეშ მოფუსვუს ლეკვისკენ გაქანდა. ლეკვს შეეშინდა და გაიქცა. კაცი გაჩერდა, ვიფიქრე, გადარჩა-მეოქი ეს საცოდავი. აინთო მწვანე, მე გზა გავაგრძელე, სარკიდან ვხედავ, კაცი არ მოეშვა, გაეკიდა, მისწვდა რკინის მარწუხებით, ააწმუტუნა და გამარჯვებულმა მანქანაში ჩააგდო.

ამას წინათ ინტერნეტში ვნახე, თბილისში, ბეიკერის ორმოში დახოცილ ძაღლებს რომ ყრიან, ზოგჯერ ცოცხლებსაც, როგორია!

მთელი დღე იმ უბედურ ლეკვზე ვფიქრობდი.

ჩარა

2010 წლის 5 ივლისი

სიზმრებისა საერთოდ არ მჯერა. ბევრი სიზმარი მინახავს, ზოგი კარგი, ზოგიც უსიამოვნო, მაგრამ გამღვიძებია და ჩქარა დამვიწყებია. აი, გუშინ კი უცნაური რამ დამესიზმრა, მინდა წვრილად მოვყვეთითქოს ჩვენი ოჯახის ოთხივე წევრი მასეირნებდა, სადღაც მთაში მივდიოდით. უცებ უზარმაზარი მანქანა გამოჩნდა. ვერ გაიგებდი, სატვირთო იყო თუ ჯიპი. შავი ფერის, ლაპლაპა, ნომრებიც კი დამამახსოვრდა 08-10. მოულოდნელად მანქანამ ლაპარაკი დაიწყო და რაღაც ქადალდები გვიჩვენა. დაჟინებით ითხოვდა, დასხედით და წამომყევითო. ერთ ფურცელზე განკარგულება ეწერა, მეორეზე – მარშრუტი. შევატყვე, რომ პატრონებს შეეშინდათ და ჩასხდომას არ აპირებდენ. მივხვდი, ეს მანქანა თავს არ დაგვანებებდა. ამი-

ტომ სწრაფად ავხტი, უკანა დასაჯდომზე დაგწექი და თვალები დაგხუჭჭ. კარები დაიხურა, მანქანა დაიძრა და მეც გამეღვიძა.

დილით კარგა ხანს უხალისოდ ვიყავი, მერე ჩორნა მოვქებნე და ყველაფერი მოვუყევი. არაფერი მიპასუხა, სიზმარია, ამაზე ნუდარ ფიქრობო, თუმცა შევატყვე, რომ ცუდ ხასიათზე დადგა. გული რომ გადამეყოლებინა, ყუთიდან ჩოგბურთის ბურთი ამოვილე და თამაში დავიწყე, ხოლო საგულდაგულოდ გადამალული ნახევრად გამოხრილი ძვალი, რომელზეც ცოტა ხორცი იყო შერჩენილი, ჩორნას მივუტანე და ცხვირწინ დაგუდე. მინდა გითხრათ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან და გემრიელ საჭმელებს ხან ოთოს ბალიშის ქვეშ ვმალავ, ხან ოთახის ყვავილის დიდ ქოთანში ვმარხავ, ზოგჯერ კი ტახტზე გადაფარებული ხალიჩის ქვეშ ვინახავ ხოლმე. ერთხელ, პატარა რომ ვიყავი, ჩემმა პატრონებმა დამალული ხორცის ნაჭრები იპოვეს, კარგად იხალისეს და იცინეს. ვერ გავიგე, რა აცინებდათ!

ჩორნა

ძოლო ჩანაწერი, 2010 წლის 7 ივლისი

ოთომ ჩარა გამოიყვანა სასეირნოდ. მეც, რა თქმა უნდა, ავეტორდიალე. პარკიდან კუს ტბისკენ ავდიოდით. ჩვენ დავწინაურდით, ოთო აღარ ჩანდა. მე გზიდან გადავედი ტყეში. ჩარა გზაზე დარჩა. უცებ დიდმა მანქანამ გაიქროლა, ჩარას მოქლე წბმუტუნი გავიგე. როდესაც მივირბინე, ჩარა გზის გვერდზე ეგდო და ეძინა. მე დავშორდი. შორიდან დავინახე,

როგორ აიყვანა ოთომ იგი ხელში და ვიღაცის მანქანაში ჩასხდნენ. ოთოს სახე გაფიტრებოდა, თვალები კი წითელი და სველი ჰქონდა.

ერთ საათში სახლისკენ წამოვედი და ვხედავ, პარკის შესასვლელთან ოთომ და ტატომ თავიანთი მანქანის საბარგულიდან ჩარა ამოიყვანეს, თეთრ ტილოში გაახვიეს და პარკში შევიდნენ. ტატოს ხელში დიდი ჯოხი ეჭირა. მიადგნენ პარკში პატარა ტყეს და მიწის ამოთხრა დაიწყეს. ჩარას კიდევ ეძინა და ეძინა. მე გამოვიქეცი, სახლში მივირბინე და მათ მოსვლას დაველოდე. ორივე დაბრუნდა, ჩარა არ ჩანდა. ვიფიქრე, დაველოდები-მეოქი. უკვე ორი კვირა გავიდა, მე კი ველოდები და ველოდები. სანამ არ ვნახავ, აქედან ფეხს არ მოვიცელი...

ავტორისაგან

ბევრმა, ვინც „სიყვარული ოთხ ფეხზე“ წაიკითხა, მთხოვა, რომ ვაკის პარკში ის ადგილები, სადაც მაშინ დღიურების ჩანაწერები ვნახე, კიდევ ერთხელ პარგად გადამეოვალიერებინა, ეგებ რაიმე საინტერესო მეპოვა. მართალი გითხრათ, ამისი ხალისი ადარ მქონდა, მაგრამ მეგობრების ხათრით არ დავიზარე და თქვენ წარმოიდგინეთ, ახალ ჩანაწერებს წავაწყდი, ძირითადად იგივე პერსონაჟებისას. იძულებული გავხდი, კვლავ შემეწუხებინა ხალხი და კიდევ ერთი პატარა მოთხრობა გამომეცა, რომელსაც სახელად დავარქვი

gatexil i gul i

ჩორნა

2010 წლის ხექტემბერი

იმ ტრაგიკული ამბის შემდეგ ხელში კალმის აღება კი არა, ადამიანების დანახვაც აღარ მინდოდა. როგორ გაიმეტა იმ ცუდმა მძღოლმა ჩემი საყვარელი გოგო.

მერე მითხრეს, გაუჩერებია მანქანა და იქ მყოფი ერთადერთი კაცისთვის, რომელიც ავარიას შეესწრო, უთქვამს, არავისთან არაფერი წამოგცდეს, ხომ ნახე, ჩემი ბრალი არ იყოო. იმ კაცს კი მძღოლის სახელიც დავიწყებია და მანქანის ნომერიც, რას იზამ, ადამიანები ზოგჯერ ერთმანეთს არ ინდობენ, ძაღლზე ვინ შეიწუხებს თავს. ეს ამბავი მართლაც ასე მოხდა, იმ თვითმხილველმა თვითონ მოუყვა ყველაფერი რუსოს. რუსოს კი რა უნდა ექნა, მძღოლს ხომ ვერ დაიჭერდა ციხეში? აი, ძალოვანი უწყების თანამშრომელი რომ ყოფილიყო, მაშინ აუცილებლად იპოვნიდა მკვლელს, სად დაემალებოდა? მაგრამ რა შედავათი, ჩემს ჩარას მაინც ვეღარ გააცოცხლებდნენ...

არა, რა სულელი ვარ, როგორ ვერ მივხვდი, რომ ჩარა მოკლეს, სიკვდილი არასდროს მინახავს, ალბათ ამიტომაც ვერ გავიგე, რა მოხდა სინამდვილეში და ველოდი, როდის გამოჩნდებოდა ჩემი საყვარელი მეგობარი.

იმ დღეს, ბედის ირონიით, რუსოს დაბადების დღე იყო, სტუმრები მოვიდნენ, მას კი ეტირებოდა, მაგრამ რცხვენოდა და თავს იკავებდა. მერე აკელას პატრონი მოვიდა, ბატონი რეზო, მან კი ვერ შეიკავა ცრემლები, აღარ იცოდნენ ოჯახის წევრებმა, როგორ დაემშვიდებინათ იგი. ზოგმა სტუმარმა მაინც და მაინც არ მიიტანა გულთან ახლოს ეს ამბავი, ერთმა ისიც თქვა, მე რომ მოვკვდე, ალბათ ამდენს არ ინაღვლებდითო,

წარმოგიდგენიათ, ძალლს შეადარა თავი. დაბადების დღე კი მაინც ჩაატარეს, ჩარა არ უხსენებიათ, მაგრამ ვიცი, ყველა მასზე ფიქრობდა. ადამიანები მკვდარ ძალლებს თურმე არ იხსენიებენ, რადგან პგონიათ, რომ ჩვენ სული არა გვაქვს! რთული საკითხია! ამას ალბათ სიკვდილამდე ვერ გავიგებ, არც მინდა, რაში მაინტერესებს, სიცოცხლე მინდა.

ჩარას დადუპვის შემდეგ ისე მოხდა, რომ ფაქტობრივად რუსოსთან გადავსახლდი ოჯახში, დამით იქ მეძინა, დილას და სადამოს მაჭმევდნენ, დანარჩენი დრო – მოელი დღე თავისუფალი მქონდა, გარეთ გაფდიოდი და რასაც მინდოდა, იმას ვაკეთებდი. ყელზე წითელი ლამაზი საყელო გამიკეთეს და ზედ ყოველი შემთხვევისთვის ბინის ტელეფონის ნომერი დაწერეს შავი ფლომასტერით. არა, მე ნამდვილად არავინ მომიპარავს გამოსასყიდის მისაღებად, არავის სჭირდება უჯიშო და მარცხენაფეხდამოკლებული ჩორნა. ტელეფონის ნომერი იმიტომ მიაწერეს, რომ ძალლების დამჭერებმა თუ მომიხელთეს, ნახონ, რომ გულშემატკოვარი მყავს!

მე სხვა ძალლებივით გასეირნება არ მჭირდება, ამიტომ პატრონებს არ ვაწუხებ. მოკლედ, ჩარას ამბავი რომ არა, ვიტყოდი, რომ უბედნიერესი ძალლი ვიყავი თბილისში და აი რატომ – ქუჩის ცხოვრებასაც ვაგრძელებდი და ოთხი პატრონიც მყავდა. უბანში საქმეებს რომ მოვათავებდი, შინ ვბრუნდებოდი. თუ კარი დაპეტილი იყო, კარების წინ გაშლილ რბილ საგებზე ვწვებოდი და ველოდებოდი კარის გაღებას. ეზოში ტატოს გამოჩენას მეოთხე სართულიდან უკვე ვგრძნობდი და ყეფა-ყმუილით ვეხმიანებოდი. ტატოს უკვირდა, როგორ გრძნობს ჩემს მოსვლას ამხელა მანძილზეო, ყველას ეკითხებოდა, ინფორმაციებს ეძებდა წიგნებსა და ინტერნეტში, ბოლოს იმ აზრზე მივიდა,

რომ ძალლი საოცარი ყნოსვითაა დაჯილდოებული და დიდ მანძილზე შეუძლია იგრძნოს ნაცნობი სუნი. ეს მართალიცაა, ჩვენ სანაქებო ყნოსვა გვაქვს, მაგრამ ლაპარაკი რომ ვიცოდე, ვეტყოდი, ჩემო კარგო, შენს მოსვლას პირველ რიგში გულით ვგრძნობ და მერე უკვე გრძნობის სხვა ორგანოებით!

ის კიბეზე ამოვიდოდა, მომეფერებოდა, კარს გამიღებდა და ოთახში მიშვებდა. აქ საჭმელ-სასმელი არ მაკლდა, მაგრამ პირველ რიგში კვლავ და კვლავ უნდა ვყოფილიყავი დარწმუნებული ოჯახის წევრების სიყვარულში. ამას ჩვეულებრივ მარტივად ვადგენდი – მივუახლოვდებოდი და თავს მივუშვერდი, როცა თავზე ხელს დამადებდნენ ან გადამისვამდნენ, ეს ნიშნავდა, რომ ძველებურად ვუნდოდი და ვუყვარდი, შემეძლო მშვიდად ვყოფილიყავი მოელი დღე.

სადარბაზოში ბევრი გულშემატკივარი გავიჩინე, განსაკუთრებით მეორე, მესამე და მეხუთე სართულებზე. მეორეზე უკრაინელი ცოლ-ქმარი ცხოვრობს, იური და მარინა, ელჩები თუ რაღაც ასეთები არიან. ეს არ ვიცი, საელჩო და კონსული რას ნიშნავს, მაგრამ კარგი ხალხი კია! ჩემთვის ყოველთვის მოეძებნებათ გემრიელი ლუქმა, იციან, რომ მშიერი არ ვარ, მაგრამ მაინც, მე კიდევ თავს ვერ ვიკავებ, კარგ საჭმელს რომ მთავაზობენ და თქვენ წარმოიდგინეთ გავსუქდი, ქუჩაში გოგოები დამცინიან უკვე. არა, ცოტა დიეტა არ მაწყენდა, მაგრამ როგორ გინდა თავი შეიკავო? მეხუთეზე კიდევ ნუნუ ბებია და გოგი ბაბუა ცხოვრობენ, ისინიც მანებივრებენ, არ მაკლებენ ქათმის და გოჭის ძვალ-ხორცს, მესამე სართულზე კი ირაკლი ზრუნავს ჩემზე, ათასნაირი ნუგბარით მიმასპინძლდება... და უარს ვერ ვეუბნები. სახლში ხვდებიან ჩემი გასუქების მიზეზს, მაგრამ არ მსაყვედურობენ.

ქუჩაში და ვაკის პარკში ცხოვრება ძველებურად

დუდს. სამწუხარო ამბებიც მოხდა. ჩვენი მეზობელი ხომ გახსოვთ, შარპეი ლაქი, ჩარას რომ ეარშიყებოდა, ჩარა კი ამასხარავებდა და ნერვებს უშლიდა, ჰოდა ეს ლაქიც მომკვდარა, პატრონებს ბევრი უწვალიათ, ვეტექიმები და წამლები არ დაუკლიათ, მაგრამ ვერ უშველიათ. ეს ამბავი ლაქის პატრონმა მოუყვა ტატოს ეზოში, მეც იქ ვიდექი და უველავერი გავიგე. ტატოს ტელეფონზე ჩაწერილი ჰქონდა ვიდეო, სადაც ის საწყალი ლაქი ჩარას ეკურკურებოდა და მერე ჩარა როგორ გარბოდა მისგან, პატრონმა რომ ნახა, ერთი ამოიხსრა და თქვა: ეჭ, ჩემი ლაქი!

აი, ზოგს როგორ უყვარს თავისი ძაღლი, მკვდარიც კი ახსოვს, მე თუ მოვკვდი, ნეტა მეც ვეყვარები და ვეხსომები ვინძეს? თუმცა რა დროს სიკვდილია, ჯერ ახალგაზრდა ვარ, ალბათ ოთხი წლისაც არ ვიქნები!

ჩორნა

2010 წლის დეკემბერი

მთელი სახლი შესწავლილი მაქვს. აქ საუკეთესო ადგილი იმ ოთახის დივანზეა, სადაც რუსო ბავშვებს ამეცადინებს. აქ თუ მოვახერხე ასვლა, ეს დიდი პატივი და ბედნიერებაა, მაგრამ როგორც კი ტატო კარს გააღებს და შემომხედავს, უთქმელადაც ვიცი, რა უნდა ვქნა – ჩამოვხტები და ჩემს ადგილზე მივდივარ შემოსასვლელში. ასე უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. მაგრამ იკითხავთ, თუ იცი, რომ არ შეიძლება, რადას მიძვრები, შე კაი ძაღლო, ხომ იცი, მაინც მოგიწევს ჩამობრძანება! მართალია, ბატონო, ვაღიარებ, მაგრამ

ვის არა აქვს ასეთი მცირე სისუსტეები, იქ რამდენიმე წელით ყოფნაც კი ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა, აკრძალული ხილი, მოგეხსენებათ...

ბოლო დღეებია, ვგრძნობ, ოჯახში, რაღაცნაირი დაძაბულობაა, ოთო და რუსო ერთმანეთში ენერგიულად ლაპარაკობენ, ტატო რომ შემოდის, ჩუმდებიან, თითქოს არაფერიც არ ხდება. ერთხელ ტატომ ცოტა ნაწყენმაც კი უთხრა, რა ხდება, არ იტყვით, რაზე ჩურჩულებთო. რუსომ შორიდან მოუარა და უთხრა, იქნებ ერთი ლეკვი მოგეჟვანა, ჰასკი, რა იქნებოდაო. ამაზე ტატომ მიუგო, ადარ მინდა არავითარი ლეკვი, დიდი მადლობა, თუ ძალიან გნებავთ, აგერ ჩორნა გვეავს, სავსებით საკმარისია, ორი ძაღლი არ მჭირდება სახლშიო.

ეს რომ გავიგე, სიხარულისგან და სიამაყისგან მგონი ზომაში მოვიმატე, აი, როგორ ვუყვარვარ, სხვა ძაღლის გაგონებაც აღარ უნდა! უველასთვის მინდოდა მომეთხრო ეს ამბავი, მაგრამ რუსომ ცივი წელი გადამასხა, როცა თქვა, ოთოს დაპირდნენ ჰასკის ლეკვს, შეიძლება აჩუქონო. მე მაშინვე მივხვდი, რას გულისხმობდა, ეს ნიშნავდა, რომ სახლში აუცილებლად მოიყვანდნენ ლეკვს, რა, ის ჩარას შეცვლიდა? რა თქმა უნდა, ვერა, ეს ალბათ ჩემზე უკეთ თვოთონაც იცოდნენ, მაგრამ მაინც უნდოდათ პატარა. მწუხარებისგან დავპატარავდი, წარმოვიდგინე ჩემი თავი უბედური, მიტოვებული, გაგდებული... ჩვენს სახლში უცხო ძაღლი ჩემს ადგილას, კინაღამ ტირილი დავიწყე, მაგრამ არ მიტირია, იმიტომ, რომ ჩვენ, ძაღლებს, ტირილი არ შეგვიძლია ადამიანებივით. მერე, მოვიკრიფე ნებისყოფა, გამახსენდა, ბოლო სამი წელი როგორ თავს მევლებოდა ეს კეთილი ხალხი და ჩემი ეჭვებისა შემრცხვა, ასეთი ტყუილი რომ დავაბრალე. არა, არ გამწირავენ!

რა გაეწყობა, მოიყვანონ ლეპვი, თუნდაც კნუტი, თვითონ წყვეტენ ყველაფერს, ბუნებრივია, მე ხომ არ მკითხავენ, როგორ მოვიქცეთო. უნდა მზად ვიყო, კარგად მოვიქცე. ძაღლებთან ურთიერთობა მე არ მეშლება, დიდი გამოცდილება მაქვს და ჩემი პატრონების ხათრით ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ბევრ რამეს ვასწავლი, ვეთამაშები, დავიცავ მტრებისგან. მე უკვე მზად ვარ, ჩემო ძვირფასებო, მოიყვანეთ ის პატარა, მოიყვანეთ! და კუდი გავაქიცინე მარცხნიდან მარჯვნივ, შემდეგ კი ზევიდან ქვევით, ეს რასაც ნიშნავს, თუ არ იცით, რუსოს პკითხეთ და ის გეტყვით.

ოთხ

2011 წლის 5 თებერვალი

ნიმამ იმშობიარა! ერთ თვეში ნიკა მის ლეკვს მაჩუქებს, პატარა ჰასკი გვეყოლება, ლამაზი, ფუმფულა, ცისფერთვალება. ჩარას მწვრთნელმა ალბერტმა ერთხელ თქვა, თქვენ ახალი ძაღლი რომ გეყოლებათ, ჩარას არ შეადაროთ, რომელი ჯობია, უბრალოდ აიყვანეთ, მოუარეთ, ისიამოვნეთ, რაც მოხდა, მოხდა, არაფერი ეშველება. თითქმის ორი წელი გავიდა. შეიძლება ალბერტი მართალია, მაგრამ როგორ გინდა, ჩარა დაივიწყო?

დღეს ნიკას ველაპარაკე, მითხრა, ორი გოგოა დარჩენილი, ამოირჩიე, რომელიც გინდა. მივედი, ვხედავ, ორივე ისეთი საყვარელია, ვედარ ვხვდები, რომელი სჯობს, ორივე ხომ არ წავიყვანო? მოდი, სახლში მივიყვან და იქ ყველამ ერთად გადავწყვიტოთ.

სახლში რომ მივიყვანეთ, ერთი სკამის ქვეშ შეძვრა, დაძინებას აპირებდა, მეორემ აქტიურად დაიწყო ოთახის დათვალიერება, ერთი-ორჯერ წაიყვანა კიდეც. ეს მეორე მგონი უკეთესია, უფრო ლამაზიცაა და ყოჩადიც ჩანს, თავს არავის დააჩაგვრინებს, გადაწყდა, მას დავიტოვებთ.

ნიკა წავიდა, ლეპვი დაგვრჩა, რუსომ გულში ჩაიკრა. სახელიდა დასარქმევი, ჯერ ვერ გადაგვიწყვეტია რა დავარქვათ, მოფიქრება უნდა, ვარიანტები ბევრია. ტატო ამბობს, შუბლზე შავი ზოლი აქვს და კანადის დროშას, ნეკერჩხალის ფოთოლს ჰგავს, კანადა ხომ არ დაგვერქმიაო? ეს აზრი ყველას მოეწონა, თუმცა დასაძახებლად ცოტათი მოუხერხებელი ჩანდა, მდგომარეობიდან ბატონმა რეზომ გამოგვიყვანა, მუსიკოსია, მოგეხსენებათ, გვეუბნება – დაუძახეთ კადა, მშვენივრად უდერს, კა-და, კა-და, სხვას არავის ერქმევა! მართლაც ასე გადაწყდა. რეზო გამოცხადდა კადას ნათლიად. პასპორტში – კანადა, მოვერებით – კადა.

ქადა 2011 წლის მარტი

ნიკამ ჩემს დაიკოსთან ერთად წამიყვანა ოთოსთან სახლში, დედაჩემი ნიმა დამწუხერებული ჩანდა, რატომ, არ ვიცი. მერე ნიკამ მე იქ დამტოვა, ჩემი დაიკო კი დედაჩემთან დააბრუნა, გამოდის, რომ გამომაგდეს? მე, პატარას, აღარც დედა მყავს, აღარც და-ძმა, ნუთუ რამე დავაშავე? ვერ ვხვდები, ასეთი რა უნდა მექნა, ვერ ვიხსენებ. ნუთუ უადგილო ადგილის რომ ფისებს გაკეთებდი, იმიტომ? ესე ხომ ყველა ლეპვი შეება,

მაგრამ პატიობენ! ან ცოტა ხმაური რომ მიყვარს, იმი-
ტომ? არ ვიცი, არ ვიცი.

მაგრამ მგონი დასჯილს არ ვგევარ, ამდენი ხალხი
მეფეერება და მეალერსება, რაღაც სიტყვას ამბობენ
ხშირად – კადა, კადა, ნეტავ რა უნდა იყოს? ინტონა-
ციაზე ვატყობ, ცუდი და ბოროტი სიტყვა არ უნდა
იყოს, იტყვიან და თავზე ხელს მისვამენ, კადა მაგაო
ენაზე ძაღლის თავს ხომ არ ნიშნავს? რას გაიგებ?
მაგრამ ეტყობა არა, რადგან ზოგჯერ შორიდანაც ესე
მექანიზმი. მივხვდი! კადა ჩემი სახელია, ესე იგი, მე
მქვია კადა! კარგია, არა უშავს, მე მომწონს! ოჯახის
სხვა წევრების სახელებსაც ვისწავლი აუცილებლად.
ახლა მომშივდა, ნეტა არ მაჭმევენ? ნიკა კარგად მაჭ-
მევდა, ესენიც არ უნდა ჩანდნენ დარიბ-დატაკნი და
მშიერ-მწყურვალნი, ალბათ მეც გამიმასპინძლდებიან.
გამიგია, მშიერ პატრონს ძაღლიც მშიერი ჰყავსო. არა,
აქ სხვა მდგომარეობა უნდა იყოს.

უი, რა კარგია, დამიღეს ორი ჯამი, ერთში წყა-
ლი, მეორეში საჭმელი. გემრიელია, დიდი მადლობა,
ახლა ტუალეტში მინდა, იატაკზე ხომ არ ვიზამ, იქნებ
მოიფიქრონ და ადგილი მომიჩინონ! კუთხეში დამიგეს
გაზეთები, მივხვდი, რომ იქ უნდა მოქესაქმებინა. შე-
ვატყე, კმაყოფილები დარჩნენ, ერთმანეთს ეუბნებოდ-
ნენ, მგონი, ჭკვიანი გოგო ავირჩიეთო.

საკუთარი თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ და-ძმებ-
ში მგონია მე ვარ უველაზე ჭკვიანი! აი, ესენიც ხომ
ამას ამბობენ.

კარგი, ახლა ძილის დროა, სად მაწვენენ, სად იქნე-
ბა ჩემი საწოლი? აი, გამიშალეს რბილი ქვეშაგები,
კარგია, მომწონს, ყოჩად, თქვენ ეტყობა გცოდნიათ
ძაღლის მოვლა, ახლა დავიძინებ, დღეს ამდენი რამე
მოხდა, დავიდალე. რაღაც ხმაური მესმის შემოსასვ-
ლელში, იქ ნამდვილად ძაღლი უნდა იყოს, ესე იგი,

ძაღლი უკვე ჰყოლიათ! რატომ არ მაჩვენებენ? საშიში ხომ არაა? ისე, მერჩივნა, მარტო ვყოფილიყავი, მაგრამ რას ვიზამ, იმედია, არ დამჩაგრავს, ალბათ დიდია, თუ დამჩაგრავს, გავიზრდები და მერე ვნახოთ... კარგი, საქმარისია ამდენი ფიქრი, უნდა დავიძინო, ხვალ ალბათ ვნახავ და უველაფერში გავერკვევი.

ჩორნა

2012 წლის მარტი

აი, მოიყვანეს, ორი ლეკვი, შემდეგ ბევრი ილაპარაკებს, იკამათეს და საბედნიეროდ ერთი უკან წაიყვანეს. მე კარი მომიხურეს და ამიტომ მას ვერ ვხედავდი, მხოლოდ ხმა მესმოდა და სუნს ვგრძნობდი, მივხვდი, პატარა გოგო იყო, სავარაუდოდ ლამაზი. მერე მოხდა უველაზე დიდი საოცრება – კარი გამიღეს რუსოს ოთახში, სადაც დივანზე არ მიშვებდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, ზედ ასვლა შემომთავაზეს. გავოცდი, მაგრამ იმ წუთშივე ავხტი, სიამოვნებისგან და მადლობის ნიშნად ცოტათი წავიწერუტუნე, ვერ კი მივხვდი, ასე რატომ მოიქცენ, თუმცა ამაზე არც მიფიქრია.

მეორე დღეს რუსოს და ტატოს ლაპარაკს მოვკარი ჟური, იანა ექიმს ჩემზე უთქვამს „რაღაცმატარებელიაო“. აბა, რომელი მატარებელი მე ვარ, მაგრამ იანა ექიმი ტყუილად არ ილაპარაკებდა. ალბათ რაღაც სერიოზული მჭირს, ნეტავი პირდაპირ მითხრან, რა ხედება ჩემს თავს. თუ არა და, დავიცდი, მერე გავიგებ, იმედია, უველაფერს. ჩვენ, ძაღლებს, სხვათა შო-

რის, როცა საჭიროა, მოთმინების დიდი უნარი გვაქვს, აბა ტყულად კი არა ვართ მონადირეები!

ისე, რაღა დაგიმალოთ და ძალიან მაინტერესებს ამ ლექვის ნახვა, როგორც ამბობენ, ჰასკია, ნუთუ ჩარას-ნაირი იქნება? ვნახავ, აბა რა იქნება, ალბათ რაღაცას უცდიან ჩვენი პატრონები.

ტატო 2011 წლის მარტი

ვიყავი იანა ექიმთან, კადა ვანახე. მომცა რჩევა-დარიგებები, ჩორნაზე მითხრა, მართალია, ჯანმ-რთელადაა, მაგრამ ერთი თვე ნუ მიაკარებთ კადას, შეიძლება ვირუსმატარებელი იყოს და ლექვი ავად გაგიხდეთო. ცოტათი ძნელია ამათი იზოლაცია ერთ-მანეთისგან, მაგრამ რა გაეწყობა, არ მივაკარებთ ერთმანეთს. ეს ერთი თვეც მალე გავა!

ჩორნა 2011 წლის აპრილი

დღეს ვხედავ, კარი გაადეს და ეს ლექვიც ვნახე, როგორც იქნა! ესეც ჰასკია, პატარა ჰასკუნია, თვალების ფერი ჩარაზე უფრო ბაცი აქვს, ძალიან ღია ცის-

უერი, გამომეტყველება კი ცოტა მკაცრი და სერიოზული, შუბლზე შავი ზოლი, თვალების ირგვლივაც შავი წვრილი არ შია, თითქოს ბრაზიანი უნდა იყოს. მოვიდა, დამსუნა, მერე თავის ასაკისთვის მეტად დიდი თათი მითავაზა გვერდში. ვიფიქრე, ეს უკვე „პრაგებს აკახავებს“, ნეტა მერე რაღას იზამს, სულ არ გამაგდოს-მეთქი აქედან! თუმცა, რა ვუყო, პატარაა, სულელი, ხომ არ ავყვები ამხელა ძაღლი, მოვუთმენ. მე ჩემს ფუნქციებს პირნათლად შევასრულებ; პირველ რიგში, საჭიროა მისი დაცვა, გარეთ რომ გაპყაფთ სასეირნოდ – ათასი უზრდელი ძაღლი, ამდენი მანქანა, ზოგიერთი ბოროტი გამვლელიც არანაკლებ საშიშია. დარწმუნებული ვარ, პატრონები ჩემით იამაყებენ, როდესაც საქმეში მნახავენ, ჰო, ეს საქმე კი მეხერხება! ისეთ ყეფა-წიოკობას ავტებ, მთელი ქუჩა ჩამოგვეცლება და გზას დაგვითმობს! აბა!

ქადა 2011 წლის პრილი

უნდა ითქვას, კარგად მოვეწყვე, ოჯახში ყველას ვუყვარვარ, მეც მომწონს აქაურობა. ჩემი უფროსი კი ერთია – ოთო, ყველაზე ძალიან ის მიყვარს. რუსო, ტრადიციულად, როგორც ამბობენ, კვლავ ძაღლების მოსამსახურეა, არ ვიცი, ალბათ ზედმეტი სიყვარულით ემართება ეს საქმე, მეც რა მენაღვლება, ყველამ ინატროს ასეთი მოსიყვარულე მოახლე.

ამ შავი ძაღლის ამბავიც გავიგე! ესაა ის ჩორნა, მასზე წიგნებს რომ წერენ? დიდი ვერაფერი შვილია, უჯიშო, მარცხენა ვეხდამოკლებული, დიდი სისუფ-

თავითაც არ გამოირჩევა, მთელი დღე ქუჩაში დაწან-წალებს, იქ კარგს რას ისწავლის! მერე დაღლილი მობრძანდება და მხარ-თემოზე წამოკოტრიალდება, თითქოს ის იყოს უფროსი. მერე რა, რომ ასაკით ჩემზე დიდია, ამ სახლში მთავარი ძაღლი მე ვარ, პატრონებიც ასე ამბობენ, ის კი შემოვა თუ არა, პირდაპირ რუსოს მიადგება, თავს მიუშვერს, უნდა, რომ მიეფერონ. ასე სადაა, ახალგაზრდა? რომ შემოხვალ, ჯერ ჩემთან მოდი, მომესალმე, მერე რაც გინდა აკეთე! ვერ მოვაშლევინე ეს ჩვეულება. ერთხელაც, იგივე გაიმეორა და მაგრად წავაყარეთ ერთმანეთს, არა, სისხლამდე საქმე არ მისულა, ტატომ გაგვაშველა, ისე კი, ვიგრძენი, რომ ჩეუბში მეტად ძლიერი ყოფილა, ვალიარებ.

სხვა დროს, ბდანტულაობის და ბუღრანაობისას, მე-გონა მე ვჯობდი, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ თურმე ნახევარ ძალასაც არ იყენებდა, მათამამებდა. როცა სიჩქარეს მოუმატებდა, ხან ლოყაში ჩამავლებდა კბილებს, ხან თათში, ისე ვირტუოზულად, რომ ვერაფერს ვუპირისპირებდი. წონით ალბათ 5-10 კილოთი მეტი ვარ, სიმაღლითაც ბევრად ვაჭარბებ, მაგრამ რად გინდა, თუ მოინდომა, შავ დღეს მაყრის, იძულებული ვარ, გვერდზე გავდგე.

გვიან მივხვდი, ამ საქმეში გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც ჩორნას ბრძოლები გამოუვლია... ისე, ჩემთვის მშვენიერია ასეთი მწვრთნელი სახლში! ცოტას წამოვიზრდები და მერე ნახონ, იქნებ მასწავლებელსაც გავუსწორდე. მეორე მხრივ, რას ვერჩი, მე თუ არ ავუშარდი, წევს თავისთვის წყნარად, ხმას არ იღებს, საჭმელი არა გვაქვს გასაყოფი და სასმელი.

როცა სახლში მარტო ვრჩები, გასართობად და თავის შესაქცევად სპეციალურად გაკეთებულ საღეჭ-

სახრავ ძვალს მიტოვებენ, რომ არ ვინერვიულო, რადგან ძალიან მეჯავრება მარტო დარჩენა. ეს ძვალი კარგი გამოგონებაა, მაგრამ ორმაგი ნეტარებაა, თუ ამ დროს ჩორნა მიუურებს და ნერწყვებს ყლაპავს. რა ვქნა, შეიძლება ცუდია, ჩორნას რომ ვახარბებ, მაგრამ, რა ვქნა, ამ სიამოვნებას ვერანაირად მოვიკლებ. საწყალი ჩორნა, ბოლოს ვეღარ უძლებს ხოლმე და გვერდით გაიხედავს ან მეორე ოთახში გადის. ერთხელაც, ეტყობა, ამაზე ბევრი ჰქონდა ნაფიქრი, როგორც კი მე ცოტა ხანს ყურადღება მოვადუნე, „ტეხნიკურად დამაწერა“ ჩემი ნახევრამდე დაყვანილი ძვალი. რა უნდა მექნა, პირში ხომ ვერ ვეცემოდი, ძალლებში ასეთი რამ არ მოსულა. ახლა მე წამომივიდა ნერწყვები, მუცელზე დავწექი მის გვერდით, ყბა იატაკზე დავდე, სახეზე შევცექეროდი შეწუხებული, არაფერი მითქვამს. მან მიუურა, მიუურა, მერე ადგა, ძვალი დატოვა და შემოსასვლელში გავიდა. რაღა დაგიმალოთ და ცოტათი კი შემრცხევა...

ნუნუ ბებია 2011 წლის მაისი

შვილო, ხომ იცი, როგორ განვიცადე ჩარას ამბავი, თავი ვერ შევიკავე, ვიტირე. ალბათ არ იცი, ჩვენც რომ გვყავდა ძალლი, პატარა პუდელი, თავს ვევლებოდით, ჩვენთან დაბერდა, საწყალი! რას ვიფიქრებდით, რომ განშორება მოგვიწევდა. ჩვენს ოჯახში შემოსულ რძალს ალერგია ჰქონია ძალლის ბეწვზე, თურმე ასეთი რამ არაა იშვიათი, მკურნალობას კი არ

ექვემდებარება, გამოსავალი ერთია, ალერგენი, ანუ, ამ შემთხვევაში, ძაღლი მოსაცილებელია, თუ არა და, ქეთომ ალერგიის შეტევებისგან უნდა იტანჯოს. ახლო-მახლო ნაცნობებს არავის სურდა ბებერი პუდელის აყვანა, იძულებულები გავხდით, ქალაქგარეთ, ტაბახ-მელაში მცხოვრებისთვის გვეთხოვა მისი შეკედლება. მეორე დღეს ჩავსვით მანქანაში და მივიყვანეთ ახალ საცხოვრებელში. დამწუხერებულები წამოვედით შინ. გავიდა ერთი თვე, მეორე, ცხოვრება თანდათანობით დაუბრუნდა ჩვეულ დინებას. სამი თვე იყო გასული, საღამოს კარებზე ფხაჭუნი შემომესმა, ჯერ ვიფიქრე, მომეჩვენა, მივედი და რას ვხედავ, ჩვენი ბიბი, გაგვალტყავებული, გაუბედურებული კარებთანაა ატუზული და თვალებში მიყურებს. ამიტყდა ტირილი, ავიჭვანე ხელში, თავი დამნაშავედ ვიგრძენი...

ამის შემდეგ სამ თვეში ბიბი მოკვდა, სიბერით.

რძალი და ჩემი შვილი სახლში დაბრუნდნენ, როგორც შევატყვე, ეს დრო ნაქირავებში ცუდად არ გაუტარებიათ... გავიდა კიდევ ექვსი თვე და ბებია გაგხდი. აი, ასეთი ისტორიაა, შენ რა, არ იცოდი?

დათო (ტატოს ამხანაგი) 2011 წლის მაისი

რა უცნური ხალხია ეს ძაღლები. ერთ ამბავს მოგიყვები, გინდ დაიჯერე, როგორც გინდა. ჩვენ მეექვსე სართულზე ვცხოვრობთ, ეზოში ერთი პატარა ტანის უჯიშო ყავისფერი ძაღლი შემოგვეჩვია. მამაჩემი წყალობდა ხოლმე და ხშირად სახლიდან გამოსულს

მისთვის ცოტ-ცოტა საჭმელი ჩაქქონდა. დაუტოვებდა და ორივე კმაყოფილი იყო. ძაღლი, როგორც წესი, ეზოს არ სცილდებოდა, თავის ჭკუით, ტერიტორიას იცავდა, სადარბაზოში შესული და, მით უმეტეს, ვინ-მესთან ბინაში მყოფი არავის უნახავს.

მერე მოხდა ძალიან ცუდი ამბავი, მამაჩემი გარდა-იცვალა. ჩვენ წესის მიხედვით ყველაფერი შევასრუ-ლეთ.

პანაშვიდზე მოხდა მართლაც საოცარი რამ, ძაღლი ეზოდან ამოვიდა და კიბის უჯრედზე დაჯდა, ოთახ-ში არ შესულა. სამი დღე და დამე იქაურობას არ მოშორებია, ვიღაცამ საჭმლის დაგდება მოინდომა, ცოდოა, ამდენი ხანი მშიერიაო, მაგრამ ძაღლმა საჭ-მელს პირი არ მიაკარა, იძულებული გახდნენ, საჭ-მელი გადაეგდოთ.

როდესაც დაკრძალვის დრო მოვიდა და მამაჩემი გამოვასვენეთ, ძაღლი ეზოში ჩავიდა, უკან დაბრუნებულებს იქ აღარ დაგვხვდა, აი, რამდენი წელი გავიდა და არავის უნახავს!

გიორგი (პარკის ნაცნობი, სტაფის პა-ტრონი)
2011 წლის ივნისი

მე ახლა ჩემი სტაფის ამბავს გიამბობთ. სტაფი პიტბულს ჰგავს ძალიან, ამიტომ ხალხს, ბუნებრივია, მისი ეშინია. ისე, სტაფიც არაა ანგელოზი, თუ კარგად არ გაზრდი, კაცმა არ იცის, რა გამოვა. მე ამას თავი-

დან ვგრძნობდი და ვცდილობდი, ძაღლში აგრესია არ გამეღვიძებინა. ჩემი ლეპვი თანდათან ადამიანების და ძაღლების მოყვარულ გოგოდ ჩამოყალიბდა. ბავშვები შეუყვარდა, განსაკუთრებით მშობიარობის შემდეგ, როდესაც ლეპვები გაზარდა. ერთ-ორ თვეში ვველა ლეპვი გავაჩუქე და დარჩა მოწყენილი.

ერთ მშვენიერ დღეს ვსეირნობთ ვაკის პარკში, ჩემი სტაფი ბალახებს სუნავს, რაღაცას ეძებს. უცებ ხმაური მომექმა, ვხედავ, პატარა ბავშვს ქალი ეჩხუბება, უყვირის, საცაა, თავში წამოარტყამს. ბავშვი კი ძალიან პატარაა, ორი წლისაც არ ინება, შეშინებული მოიკუნტა, ელოდება, როდის მოხვდება ხელი. ვიფიქრე, ხომ არ მივიდე, ჩავერიო, მაგრამ გადავწყვიტე, დედაშვილი უჩემოდაც მორიგდებიან-მეოქი.

ამ დროს, ვხედავ, ჩემი სტაფი გაიქცა, ბავშვს მივარდა, შარვალში კბილებით სწვდა, ქალს მოარიდა და ჩემთან მოიყვანა. თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვს არ შეშინებია, ქალი კი ჩვენსკენ გამოემართა. ამასობაში ხალხიც მოგროვდა, ყველას მოუნდა საკუთარი აზრის გამოთქმა.

— შენ დედა ხარ??? — ენერგიულად შეუძახა ერთმა ახალგაზრდა ქალბატონმა, — ძაღლმა როგორ უნდა გაჯობოს! ქალი აბსოლუტურად დამშვიდებული იყო, აგრესიის ნატამალიც აღარ ჰქონდა, პირიქით, იღიმებოდა და თავის მართლებას ცდილობდა. ბავშვისკენ გაიწია, წაყვანას აპირებდა. სტაფმა ძალზე არამეგობრულად შეხედა, ქალი შეცბა, ჩემსკენ მობრუნდა და მომმართა:

— გამატანეთ ბავშვი, გვიანდება, დედამისი ინერვიულებს...

— აი, ენდე ახლა ძიძებს, ჩაილაპარაკა მაღალმა მსუქანმა კაცმა.

ძიძამ ბავშვი აიყვანა და დაგვშორდა. ხალხი სტაფის
მიაცემდა აღფრთოვანებული, შემდეგ ნელ-ნელა ყვე-
ლა დაიშალა. ჩვენც ჩვენს გზას გავუდექით.

თემური (ტატოს ნათესავი) *2011წლის ივლისი*

ახლა უკეთ ვარ, ოპერაციის მერე ოთხი დღე გაგ-
იდა, ძლივს გამოვიხედე, კარგია, სიცხე არა მაქვს,
ხასიათზე მოვედი. მერე ახლობელმა მომაკითხა, ჩემი
გართობა უნდოდა და თავისი ძაღლის ისტორიების
მოყოლა დაიწყო. საინტერესო ამბები მოჰყვა, მაგრამ
მე ჩემი მინდა ვთქვა. ჩვენ კერძო სახლი გვაქვს სვანე-
თის უბანში, პატარა ეზოთი. ერთხელ უცნობი შავი
ძუკნა მოვიდა, საქმიანი სახით, ფრთხილად იყურებო-
და, თითქოს სერიოზულ დავალებაზე იყო მოსული.

მე მაშინვე მივხვდი, საჭმელი რომ უნდოდა. უპა-
ტრონებმა იციან ასე, თითქოს საჭმელი სულაც არ
აინტერესებთ, სხვაგან იყურებიან, არც ახლოს მო-
დიან, არც ძალიან დაგვორდებიან ხოლმე, ელოდე-
ბიან, რომ შენ გამოიჩენ ინიციატივას, თუ არა და,
წავა თავის გზაზე, იქნებ სხვამ მიაქციოს ყურადღება.
ყველა ძაღლი პატრონზე ოცნებობს, ასეა ეს! ამასაც
ასეთი პოზა ჰქონდა, თითქოს არ შიოდა, სინამდვილე-
ში კუჭი უხმებოდა შიმშილით, ხომ ვატყობ.

ამოვიტანე პური, როცა პურს ძაღლი ხარბად
დაეტაკება, ეს ნიშნავს, რომ ძალიან უჭირს. ამ შემთხ-
ვევაშიც ასე მოხდა. დაცხრა, შემდეგ კმაყოფილმა
შემხედა. კუდი გააქიცინა. გადავწყვიტე, მეჭმია ხოლ-

მე. ძაღლს ბაგშვებმა ჩიპო დაარქვეს, ჩი-პო, ჩი-პო – მგონი თვითონაც მოეწონა, მესამე დაძახებაზე გამომეხმიანა, უკვე მიხვდა, რომ ჩიპო ერქვა.

ასეთი დელიკატური ძაღლი ბარემ ორი არ დადის თბილისში, პირველივე დღეს მიხვდა, რა შეიძლებოდა ჩვენთან და რა არა. დილით, სამსახურში რომ მივ-დიოდი, მთავარ ქუჩამდე მიმაცილებდა, შემდეგ უკან ბრუნდებოდა და სახლის შესახვლელთან მელოდა, თან იქაურობას ყარაულობდა, ვინმე დაუკითხავ ვიგ-ინდარას რომ არ შემოეყო ცხვირი ჩვენთან. კეთილ ადამიანებს ცნობდა, ბოროტი კი, როგორც ჩანს, ჯერ არავინ შეხვედროდა, ამიტომ პრაქტიკულად უსაქმოდ იყო.

ერთ მშვენიერ დღეს ჩემს პატარა შეილიშვილს ლეპვი მოუყვანეს. რას ნიშნავს ლეპვი ოჯახში, მარტო იმან იცის, ვისაც ლეპვი ჰყოლია. ესაა ხმაური, აურზაური, დაღრინილი ნივთები, ფისები და კაპები იატაკზე, და მიუხედავად ამისა, მაინც დიდი სიხარული. როდესაც ლეპვის ბანაობის დრო დაუდგა, ჩავიყვანეთ ეზოში და იქ გავასისინეთ, ჩიპო ამ პროცესს სევდანარევი ინტერესით აკვირდებოდა.

ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ მეორე დღეს ჩიპო გაქრა. ნუთუ იეჭვიანა? თავი ზედმეტად იგრძნო? კაცმა არ იცის! არავინ იცოდა, სად წავიდა, ყველას გული დაგვწყდა. გავიკითხეთ უბანში, მაგრამ არაუერი, არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი. რა გექნა, შევეგუეთ და გავაგრძელეთ ჩვენი ცხოვრება. ლეპვი კი იზრდებოდა, უფრო და უფრო შლიდა ფრთებს და გვაწუხებდა. ერთმანეთს ვერ ვუტყვიდებოდით, მაგრამ უსიტყვოდ ვგრძნობდით, რომ გვერჩია ლეპვი გაგვეჩუქებინა. ასეც მოხდა, ცოლის ნათესავმა, ძაღლების მოყვარულმა მანანამ ლეპვი წაიყვანა და ყველა კმაყოფილი დაგრჩით.

მეორე დღეს პატარა სასწაული მოხდა, არ თქვათ, ისედაც მივხვდიო! პო, ეზოში კუდაპრეხილი ჩიპო შე-მოვიდა, ჩემსკენ წამოვიდა და თითქოს არაფერი მომხ-დარიყოს, ფეხზე გამეხახუნა! აი, ასე იყო ეს ამბავი! დასკვნები თვითონ გააკეთეთ!

პუსკა (დუშეთში მცხოვრები ძაღლი) 2011 წლის ივლისი

ეს ფურცელი სასწაულებრივად უცნაური აღმოჩნდა. ზედ მხ-ოლოდ სათაური იკითხებოდა - „პუსკა 2011“ - ხოლო ტექსტი არ ჩანდა. გვიან დამით სავსე მოვარის შუქჟე ნაწერი გამოჩნდა, ამი-ტომ სასწრაფოდ გადავიტანე ქალალდზე, სწორედაც მოვიქეცი, რადგან მეორე დღეს და შემდგომშიც, ფურცელი კვლავ სუფთა იყო. აი, რა ამოვიკითხე იმ დამით:

სჩვეულებრივი ჩანარი არ გავონოთ, ძალიან რომ ნარიე ხოლმა, მა საიმოლა ვინარები, დიახ, არ გაიავიროთ და ძალიან გოხოვთ, არავარი მაითხოვთ, მხოლოდ მომისმინათ, ალბათ გინებარ-ესებთ ჩამი ისტორია, რაც გეიძლება, მოკლეს ენდა ვოქვა, აა ბევრი ლაპარაკი არ შეიძლება.

მა კარ პასკა, სა სახელი დუშელება დამარცვას, ვცხოვრობდი თბილისში, ერთ ნასიკ რახახში, მა საერთოდ აიშენა მონაცირე ვითვლები, ჩვენ ძველ პატრონებს ნადირობაში ვახმარებოდი, როცა მნ-ჭურზე მიღიოდნენ ხოლმა, ერთხელაც, ნადირობ-სას ერთმანეთს აკდით, გზა აგვებნა, მა ბევრი ვისა ტყე-ტყე, სამი დღის გემდევ რაღაც სოფელს მივადები მთაში, პატარა იყო, ცოტა ხალხი ცხოვრობდა, ერთ სახლს მივახალოვდი, ცოტა საჯალი დამიურის, იმ ხალხს არ მოვმორებივარ, თვითონაც თავი გას-ზირვებოდათ, მაგრამ არ მაგდებოდნენ, ერთხელაც,

იქ ერთი კათილი დეიდა მოვიდა, მათი ნათესავი, მერი ერქვა, მოვენონი და თავისთან ნამიზება ფუბეთში, ასე მოვხვდი აჲ, ვცხოვრობდი ბელიერად ახალ პატრონებთან, ძველები კი ალბათ განიცილება ჩემს დაკარგვას, ძალიან ვენატრებით, მაგრამ არ ივის, სად ვარ, და რა უნდა ჩენ?

ბოლო დღეებში დუშეთში, ჩვენს უბანში ხროვა გამოიჩდა, ხროვის უფროსი დელით კავკასიონი მაცხევარის შვილი იყო, მაგ არავინ ივის, ვინ ჰყავდა, თვითონ მთელი ცხოვრება სოფელ-სოფელ დაბროლა, მისი ხროვა ხეთი, ხანავ მეტი ძალლისგან გადახვდოლა, დაუნდობელი იყო, ძლიერი, ძალლები კი არა, ადამიანების ჰყავდა დაგლუჯილი, მარს ეძახდება, გაშინებული უნილუები ხოხებით დაიღინება, რომ ის და მისი ხროვა მოგერიებინათ, პატრონი არავის გამოიჩდა, იყვნებ გავაეგულები, გაძვალუფავავალი, ბედის ანაბარად, რას ჰამდენა, რითი ცხოვრობდნენ, არავინ ივის.

იმ საბათოსნერო დღეს ვერდავ, ის მარა და მისი თოხი თანამატრიტოლი ძალლი ჩვენი ეზოს კარს მოდგომიან, წლიალებები, იღრინებიან, ვაბურბ, გიგ-ნით უნდათ გამოსვლა. ვინ კი მარტო მარი დეიდა, დანარჩენები არ არიან, წარმოვიდგინე, ჩემს სახლში გამოვიდგნენ და პატრონი დამიგლოიჯას, მაშინ, ვეი, სირცევილო, სად გამომაყოფა თავი!

მაშინვე გადავველე მობას, ნინ დავუდეი და ყველა კვაბენა, თითქოს აას ილოდნენ, მერე მოვე-ვდი, რომ გამომიტყუას, როი ძალლი ერთდროულად მეძერა ფეხებში, ძირს დამაგდის, მარა, სამი ჩემხელს ზომის, ზევიდან დამახრა, პატლები უკლები დამასო და მოუჭირა, ვერ ვინძროვდი, ძალები აშანად არათანაბარი იყო, მერი დეიდა რთახილებ ჩემსან გამოიახა, მაზობლების მოცვილენა, ზოგს

არხი პონდა, ზოგს კვები, მაგრამ არაფერმა გაჟრა,
მერამ ყილი გამომლადო, მართ გაიძა, ხროვაც მას
გაჟყვა.

მა ძირს კიბლი, გონიერას კარგვადი თანდათან,
ხალხი თავს დამდგომოდა, მერი დეიდა ტიროდა.
ბოლოს უკვე ველარაფერს პერიავდი და... ნილ-
ნილა მოვაკლი.

ტატო 2011 წლის აგვისტო

წელს დუშეთში პირველად ჩამოვედი მარტო კა-
დასთან ერთად, ერთი სული მქონდა, ჩვენი კეთილი მე-
გობარი, „უშნო“ პაკო მენახა, ნეტავ რას შვება, კიდევ
მაყვალასთან ცხოვრობს, ხომ არ გააგდეს? ეზოში
რომ შევედით მე და კადა, ნაცნობი სოპრანო მომეს-
მა – პავ-პამ! პავ-პამ! პავ! უი, პაკო, პაკო! მივედით,
ვნახეთ. მაყვალა ამბობს, არ მშორდება, კიდევ უფრო
მომეწება, მთელ ჩიხს ყარაულობს, ოუ უცხო გამოჩნ-
და, კაცი ან ძაღლი, მაშინვე განგაშს ტეხს, ისე, ცოტა
არ იყოს და, ზედმეტს ხმაურობს, ძალიანაა მონდომე-
ბული და მეზობლები წესდებიან.

კადას გასეირნება მქონდა გადაწყვეტილი და მაყვა-
ლას დაგემშვიდობება.

გავედით ოუ არა, პაკოც ჩვენს გვერდით გაჩნდა,
საქმიანი სახით. მოკლედ, ამ კადას მცველები და
გამცილებლები არც დუშეთში აკლდება. გავიარეთ
ცოტა, გზაზე ვიღაც ძაღლს დაუყეფა, რომელსაც არც
კადა არც მე არ ვაინტერესებდით, მაგრამ ამან მაინც

დაუყეფა და კმაყოფილი ჩვენს წინ წაცუნცულდა სამ ფეხზე (თუ გახსოვთ, ის უკანა თათი შარშანწინ უპაყოფილო მეზობლებმა მოტეხეს ქვით).

გავედით დუშეთის მთავარ ქუჩაზე, მეორე მხარეს ერთი დიდი ზომის, საცოდავი ძაღლი დავინახეთ, პაკომ, რა თქმა უნდა, საშინელი ყეფა აუტეხა. საიდან ამოსდიოდა ასეთი გამაყრუებელი ხმა ამ მოპრუწულ ძაღლს! ის კი შეშინდა, კუდი ამოიძუა და გაქცევა დააპირა, არადა, პაკოზე 2-3 ჯერ მძიმე იქნებოდა. პაკო, გამარჯვებული, როგორც კი დაინახა, გარბისო, სასწრაფოდ გაეკიდა, ქუჩის მეორე მხარეს უნდოდა დაწევა, მაგრამ შუა ქუჩაზე მაღალი სისწრაფით მიმავალ ჯიპს შეეტაკა და გვერდით გადავარდა...

მიგუახლოვდი, დაგხედვ, აღარ სუნთქვდა, თავი ჰქონდა გატეხილი, სისხლში იწვა.

ბორდიურზე დავჯექი, ტირილი მინდოდა, მაგრამ თავი შევიკავე. მანქანიდან მბლოლი და მის გვერდით მჯდომი გადმოვიდნენ, ორი მსუქანი ჯეელი, დიდრონი ლოკებით, ერთნაირები იყვნენ, შეიძლება ახლო ნათე-სავები, არ ვიცი, არცაა საინტერესო, მათი სახეები მალე დამავიწყდა.

ორივე ერთსა და იმავეს იმეორებდა – აქ ტრასაა, ჩქარა სიარული ნებადართულიაო, თავს იმართლებდნენ. – ტრასას შუა ქალაქში რა უნდა? რას ბოდავენ! ძაღლი ნამდვილად არ შესცოდებიათ. ლაპარაკი აღარ შემემლო. მალე წავიდნენ.

მე გვერდით მაღაზიაში ცელოფანის პარკი ვიშოვე, საწყალი პაკო შიგ ჩავაწვინე და შინისკენ წავედი. რა მსუბუქი ყოფილა ეს საცოდავი. მივაღექით მაყვალას. სახლის წინ საფლავის გათხრა დავიწყეთ, მეზობელი მოგვიახლოვდა, აინტერესებდა, მე და მაყვალა რატომ ვთხოვიდით მიწას, რომ გაიგო ყველაფერი, მოგვიწოდა, ღრმად გაგვეთხარა, რომ სუნს არ შეეწუხებინა! უცნ-

აურები არიან ეს მეზობლები, ეჩვენებათ, რომ მარტო თვითონ ცხოვრობენ, სხვებს ვერ ამჩნევენ.

მე და მაყვალაშ საქმე დაგამთავრეთ, მიწა მოვას-წორეთ, ჩვენი ერთგული მცველი და ყარაული იქ დარჩა. მშვიდობით, პატარავ!

უსახელო თეთრი ხვადი ქოფაკი 2011 წლის ოქტომბერი

ბიჭო, ჩვენ, უჯიშოები, ესე იგი, ქოფაკები, მოსაშვილის და ბერძენიშვილის კუთხეში ვცხოვრობთ! აქ დიდი გასტრონომია, ხან უნიკა დიპლომატი ერქვა, ხან დიპლომატი, ამჟამად ჰქვია იოლი. ამ სახელებს ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, აქ კარგი ხალხი ტრიალებს, ზოგი მაღაზიაში მუშაობს, ზოგიც იქვე ცხოვრობს. საჭმელს გვაჭმევენ, არ გვაგდებენ. ამიტომაც მოწანწალე ხროვად არ ვიქცით, დაჭერა-დაპატიმრება და სიკვდილის განაჩენი არ გვემუქრება. ერთი კია, ჩვენთვის, როგორც უპატრონოებისთვის, სახელები არ დაურქმევიათ, მაგრამ არა უშავს, ამას ავიტანო, რაზეა ბაზარი!

ჩვენი, ძალური წესების მიხედვით ამ ტერიტორიაზე სხვას მოსვლის უფლება არა აქვს, გინდა მარტო იყოს, გინდა პატრონს ჰყავდეს საბეჭიე გამობმული. ყველას გავაგდებთ, თუ არ წავა, დავგდეჯთ, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება ის მეტიარა, დიდი თუ პატარა, სუსტი თუ ლონიერი, ჩვენ სამნი ვართ, ხან ოთხი და ყველასთან შეგვიძლია გამკლავება, მით უმეტეს, ბრატ, წესი და კანონი ჩვენს მხარეზეა.

ერთ ძველ ამბავს მოგიყვებით, როცა ჩარა ცოცხალი იყო, ტატო ხომ იცით, მისი პატრონი, მოჰყავს თავისი გასისინებული პრინცესა გოგო, მართალია, ქუჩის მეორე მხარეს, მაგრამ მაინც ნომინალურად ჩვენს ტერიტორიაზე. მე ჩვენს რიუა ძუგნას ვანიშნე, მიდი, ჭკუა ასწავლე მაგათ, მეორედ სხვა მარტოუტი აირჩიონ სასეირნოდ, აზრზე მოვიდნენ! იმანაც არ დააყოვნა, მიეჭრა და ისეთი ყველა-უშველებელი ატება, რომ ორივენი აღგილზე გააქვავა, ჩვენ შორიდან ვუყურებდით, თუ საჭირო გახდებოდა დახმარება. ამ ტატო-პატრონმა რამდენჯერმე სცადა რიუას შეშინება, მაგრამ უნდა გითხრათ, სრულიად უშედეგოდ, რიუა უკან არ იხევდა, პირიქით, თანდათანობით წინ მიიღებდა და მტრებს ავიტროებდა. ჩარა კი, მოონი, შეშინდა, გატრუნულიყო იმ იმედით, რომ რიუა როდისმე დაწყნარდებოდა. თუმცა საქმე პირიქით მიდიოდა, ჩვენი ყოჩალი ქალი ხმაურს უმატებდა და უმატებდა.

ბოლოს ტატოს მობეზრდა ეს პოზიციური ბრძოლები, ხელი ჩაიქნია და ჩარა ჭავჭავაძის ქუჩის მიმართულებით წაიყვანა. რიუამ თვალი გააყოლა და შემდეგ გამარჯვებული გვერდით მოგვიწვა, კმაყოფილი ჩატარებული სამუშაოთი. აი, ასეა საქმე, პატივი ეცით სხვის უფლებებს და თავისუფლებებს, მოიქეცით კარგად, თუ არა და, ჩვენ ძალას ძალით ვუპასუხებთ.

რატომ გავიხსენე ეს ამბავი, ორიოდე დღის წინ მაღაზიაში რუსიკო აპირებდა შემოსვლას, მას კი ის ნაგლი ჩორნა არ გამოყვა, პირდაპირ ჩვენს ცხვირს წინ! აუ, ბოიშვილი ვიყო, ახლა კი მე ავიჯაგრე, მეოქი, ამას... და, უკვე მოვემზადე ჩორნას წასაკლავად, რომ მესმის რუსიკოს ხმა, მეხვეწება, არ გინდა, ცოდოა ჩემი ჩორნა, ისედაც ვეხი სტკივა, გთხოვ, არაფერი

დაუშავო, ახლავე წავიყვან აქედან! რადა მექნა, როცა ხედავ დროულ ქალბატონს, რომელიც გვევლება თავის ძალლზე, როგორ უხდა მოიქცე?

ხო მიმიხვდით, სხვა გამოსავალი არ იყო, გვერდზე დავდექი, ჩემმა ძაღლებმაც გაიგეს ყველაფერი და ინტერესით მიაჩერდნენ რუსოს. მან მაღაზიაში შესვლა გადაიფიქრა, ჩორნას დაუძახა და ორივენი ზევით წაგიდნენ, ბერძენიშვილზე.

არა, ეს რუსო მართლაც კეთილი ქალია, ჩორნას გულისთვის საყიდლებზე უარი თქვა. იძულებული გახდა, ნახევარი საათის შემდეგ ისევ დაბრუნებულიყო მაღაზიაში და თავისი საქმე მოეთავებინა.

ტატო 2011 წლის ნოემბერი

სად დაიკარგა ეს ჩორნა, მეორე დამეა, არ გამოჩენილა, სად უნდა იყოს? რამე შარში ხომ არაა გაბმული. აქეთ რუსო ნერვიულობს, მეც, რადა დაგიმალოდა, აფორიაქებული ვარ. რუსოს ხომ ავადმყოფური ფანტაზია აქვს, ამბობს, ნამდვილად მანქანამ წაიყვანა, გავიგე, პარკში ისევ გამოჩენილან ძაღლების დამჭერებიო, ან მანქანამ გაიტანა და საღლაც გადაგდესო, წადი მონახე, გაიკითხე, რა ხდება ჩვენს თავს, ხომ უნდა ვიცოდეთო. მე კი დავდივარ, ვკითხულობ, მაგრამ არავინ არაფერი იცის. იმის იმედი მაქვს, საყელოზე ტელევიზონის ნომერი აწერია, თუ დაიჭრენ, მიხვდებიან, რომ პატრონი პყავს და დარეკავენ...

ლაპარაკი რომ იცოდეს, ვუყიდიდი მობილურ ტელე-

ფონს და გავიგებდი, სადაა, რას შვრება! თუმცა, რა სისულელეა, რა ტელეფონი, მგონი ზედმეტი ნერვიულობისგან ტვინი ამერია. ბოლოს და ბოლოს, ძაღლია ეს ჩორნა, თან, ხომ არ უნდა გადავყვე! ისიც მეყოფა, ჩარას მერე ექიმებთან რომ დავრბოდი გამოკვლევებზე, თან ვფიქრობდი, სად ვთქვა ძაღლის გულისთვის ინფარქტი მივიღე-მეთქი. ბედად, სერიოზული არაფერი დამიდგინდა, მხოლოდ გულის ნევროზი. კარგი, მაგრამ მაინც სადაა ეს არამზადა ჩორნა?

ჩორნას დაკარგვიდან მესამე დამეს გვიან დამჭირდა ქუჩაში გასვლა. აფთიაქში სიცხის დამწევი წამალი უნდა მეყიდა, სადღაც დამის 2-3 საათი იქნებოდა. გავედი აბაშიძეზე და რას ვხედავ, ჩორნა ჩვენი სახლის წინ არ დგას? გახარებული ჩემსკენ გამოიქცა, ვუყურებ, ჯანმრთელადაა, არც ნაკბენი, არც ჭრილობა, მაშინვე მივხვდი, რომ ვიღაც გოგოსთან ბრძანდებოდა ეგ უნამუსო, და გამასხვნდა, სამი-ოთხი თვის წინ, გია ექიმმა სოლოლაგში რომ წაასწრო ფაქტზე მაგ ვაჟბატონს ქუჩის გოგოსთან...

მართლაც, გავიხედე გვერდით, ერთი არც თუ ისე სიმპათიური ქუჩის ბიჭი და მის გვერდით ლამაზი მაღალფეხება ძუკნა ჩვენ გვიყურებენ. ის ბიჭი ჩორნაზე ბევრად დიდი იყო, ამიტომ ჩორნამ საინტერესო საბრძოლო პოზიცია დაიკავა – უკანა ნაწილი ჩემს პალტოს შეაფარა, თავი გარეთ გამოყო და მეტოქე ბიჭს ყევდა დაუწყო, გარანტირებულმა, რომ იგი ჩემზე თავდასხმას ვერ გაბედავდა. ასეც მოხდა, დიდმა ბიჭმა ხმა ვერ ამოიღო, ჩემთან კონფლიქტს ერიდებოდა. ჩორნა კი მართლაც სასაცილოდ გამოიყურებოდა, ჩემს პალტოში დამალულს თავი გარეთ ჰქონდა გამოჩრილი და უშვერი სიტყვებით ამკობდა მოწინააღმდეგებს. როგორც შევატყვე, აქ გადამწყვეტი სიტყვა ლამაზ ქალბატონს უნდა ეთქვა. ასეც მოხდა, მან თავ-

ის კავალერს ზურგი მიაქცია და ნაზი მოძრაობით ჩვენსკენ წამოვიდა, ბიჭი იძულებული გახდა, კუდი ჩამოეშვა დამარცხების ნიშნად და ფალიაშვილის ქუჩის მიმართულებით გაგვცლოდა. მოკლედ, ასე „ავახი-იეთ“ მე და ჩორნამ ნაშა იმ ახალგაზრდას. თეთრი გოგო მერე რუსომაც ნახა და მითხვა, გემოვნებას ვერ დაუწუნებ ჩვენს ჩორნიკოსო.

ჩორნა 2011 წლის ზამთარი

მოგეხსენებათ, ჩვენთვის, ძაღლებისთვის, კვებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია სასიყვარულო ურთიერთობები, სხვათა შორის, ისევე, როგორც თქვენთვის. ამაში დავრწმუნდი, როცა ტელევიზორში თვალი მოვკარი ფილმის სათაურს – „ჭამა და სექსი“. თავიდან მეგონა, ძაღლებზე იქნებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ადამიანებზე ყოფილა, თურმე მათაც იგივე პრობლემები აქვთ, რაც ჩვენ. კინოს ვერ ვუყურებ, არ მომეწონა, სათაური არ იყო რომანტიული!

მოდი, ერთსაც ვიტყვი გულახდილად. ხომ გვეძახით საუკეთესო და ერთგულ მეგობრებს, მაშ, ეს უამრავი სალანდავი სიტყვა ჩვენ რომ გვეხება, რატომ გამოიგონეთ, რაშია საქმე, გინ გამცემს პასუხს! რომელი სხვა ოთხეხაა აღიარებული ადამიანის მეგობრად? როგორც ვიცი, არავინ. მაშინ ეს ორმაგი სტანდარტი რას ნიშნავს! პირველად სიტყვა მამაძალლი რომ გაფიქ, ვიფიქრე, ჩვენი ხათრით ამნაირად ეალერსებიან ერთმანეთს-მეთქი, მაგრამ თურმე სადა ხარ! ვისაც ეს

უთხერეს, ის ბიჭი მიუბრუნდა ამ სიტყვის მთქმელს და სულ სახეში ურტყა მუშტები, დაასისხლიანა საცოდავი, თან უყვიროდა, შე ძაღლის გაგდებულოო. მოკლედ, ნაცემი ახალგაზრდა ძალზე შემეცოდა, მაგრამ ეს ტერმინები პირველად მაშინ გავიგე და დავვიქრდი. მერე მივაქციე უურადღება, ეს რამდენი სალანდავი სიტყვა ყოფილა ქართულში – შობელდაღლი, პატრონნადლი, ძაღლისშვილი, ძაღლური ცხოვრება, მამაძაღლი, ძუკნა, ქოფაკი, ჩააძაღლა, ძაღლი მიაკვდა სულში, და ისა, ისა, კიდევ რა გვარია? ჰო, ზნიადაური, (ჩორნა უდავოდ ზვიადაურს გულისხმობს. - ტატო) რო ამბობს – ძაღლი იყოს თქვენი მკვდრისათვისო, ხო სწორედ ვთქვი? ანუ, გამოდის მკვდარძაღლო!

იცით, ცოტათი შემრცხვა, ეტყობა დავიმსახურეთ, თორემ ადამიანები განა ასეთი უსამართლოები არიან, რომ უმიზებოდ გაგვიმეტონ?! არა, რა თქმა უნდა. ამის დასტურად გეტყვით, გაგიგიათ, რომელიმე სხვა ცხოველი გაელანდოთ, მაგალითად, ცხვარი ან თაგვი, კალია ან მერცხალი, მე არ გამიგია არც შობელ-ცხვარი და არც წრუწუნასშვილი. გამოდის, რომ რა-დაც ვერ გვაპატიის, ალბათ – ჩვენი ცუდი ყოფაქცევა. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ჩვენც გვემლება ხოლმე. აი, ამას წინათ, ყური მოვგარი, რუსო უყვებოდა ტატოს, ზურგას უთქვამს ერთ უპატრონო ძაღლზე, რომელიც, როგორც ყველა უპატრონო, მშიერ-გაქუცული დალასლასებდა. ჰოდა, ვიდაც კეთილ ცოლ-ქმარს შესცოდებია ეს ძაღლი, წაუყვანიათ შინ, უქმევიათ, უსმევიათ და ნორმალური ძაღლის სახე მიუციათ, ვეტექიმები და წამლებიც არ დაუკლიათ. გასულა ორი წელი და ძაღლი გამქრალა, ვერსად მიაგნეს პატრონებმა. რამდენიმე თვის შემდეგ ხედავენ, პარკში ახლადგახსნილი სახინკლის ეზოში, სამზარეულოს წინ, წამოწოლილი, გამძღვის და კმაყოფილი,

პატრონებს ისე უყურებს, თითქოს პირველად ხედავ-სო. ცოლ-ქმარს გაუხარდა ძაღლის ნახვა, დაუძახ-ეს, მაგრამ ამ თავხედმა ზურგი მიაქცია. აი, ასეთები გვარცხვენებ! ესაა მაღლიერება?!

ამიტომ, კარგად უნდა მოვიქცეთ და იმედია, როდ-ისმე ის სალანძღვი სიტყვებიც დავიწყებას მიეცემა, ვნახოთ...

პარკში მოსეირნე ველოსიპედისტი 2012 წლის გაზაფხული

დღეს კარგად ვისეირნე, ერთს კიდევ გავივლი და დავბრუნდები. საკმარისია. ვხედავ, კადას მოასეირნებს პატრონი. გამოველაპარაკე ამ მთისა, იმ მთისა, მეუ-ბნება, კიდევ ერთი ძაღლი გვყავს სახლში, ქუჩის, უკვე სამი წელია. საოცრად ჭკვიანი, ერთხელ ავი ძაღლებისგან დაგვიცვა მე და კიდევ ორი კაცი თავი-ანთ ძაღლებთან ერთად. ჩორნა ჰქვია, მარცხენა ფეხ-ით კოჭლობს, კისერზე წითელი საჟელო აქვს. ვეუბნე-ბი, ვიცი ეს ძაღლი, ფალიაშვილზე გამოდის ხოლმე, ჩემს სახლთან, იქ ერთი პენსიონერი ქალბატონი აჭ-მევს ხოლმე. არ გაგიკვირდეთ, მეუბნება პატრონი, მაგას ადამიანებთან ურთიერთობა არ ეშლება, კეთილ ხალხს ყველგან ნახულობს, არაფერში ცდება ხოლმე, რაც მაგან გულშემატკივრები გაიჩინა ვაკეში, ბარებ ას ძაღლს ეყოფა. კარგად მახსოვს, ერთხელ შავი გარი რომ დარბის ხოლმე, ზურას ძაღლი, ჩორნას უპირებდა კბენას, მაგრამ პარკის წინ, ტაქსისტი, ძია იღო შუაში ჩაუდგა, თავი საფრთხეში ჩაიგდო და ჩორნა არ დააჩაგრინა...

ქუჩის ძაღლს ჭკუა რომ აქვს, ბევრმა არ დაიტრა-
ბახოს. ერთ ამბავს მოგიყვებით, მე თვითონ შევეხწარი,
მოღის ერთი ახალგაზრდა და მოჰყავს საბელზე გამობ-
მული სამი-ოთხი თვის ლეკვი, შორიახლოს პარკის
ძაღლები, ორი ხვადი, საეჭვოდ ტრიალებენ, ლეკვმა
კუდი ამოიძუა, აშკარად შეშინებულია, ცუდს ელო-
დება. პატრონი დაბნეულია, ვერ ხვდება, შეუტიოს და
გააგდოს არამკითხე ძაღლები, თუ მოიცადოს. ამასობა-
ში ეს თქვენი ჩორნა გამოჩნდა საიდანდაც და ლეკვის
გვერდით დადგა, კუდაპრეხილი. პატრონმა ჩორნაც
იმ ძაღლების ხროვის წევრად მიიჩნია და დაუტია,
მოშორდი აქედანო. ჩორნამ პატრონს შეხედა, თუმცა
წასვლას არ აპირებდა, ლეკვისკენ ზურგით დადგა
და უცხო ძაღლებს დაუდრინა. პატრონი მიხვდა, რომ
ჩორნა მათ მხარეზე ყოფილა და ცოტათი დამშვიდდა.
ჩორნამ ამასობაში ღრენას უმატა, თვალები აემდვრა,
მზად იყო შესატევად. ძაღლები გაჩერდნენ, შემდეგ
ერთმანეთს შეხედეს და ნელ-ნელა თავის გზას გაუდ-
გნენ. აი, ასე, თქვენმა ჩორნამ იმ დღეს კიდევ ორი
ქომაგი შეიძინა!

ტატო 2012 წლის ივნისი

მე მინახავს ჩორნას ჩხუბი. რა თქმა უნდა, ის საბრ-
ძოლო ძაღლი არაა, პატრონები ფულს რომ შოულო-
ბენ ხოლმე, ჩორნა უმიზეზოდ არ ჩხუბობს. საბრძოლო
ძაღლებზე გამახსენდა. ერთხელ ზაფხულში, პარკში
პიტბული შემოიყვანა შავმაისურიანმა ახალგაზრდამ,

რომელიც, მაპატიეთ და მთლად დალაგებულს არ ჰგავდა, მისი ძაღლი კი საშინლად გამოიყურებოდა – სახე და მთელი სხეული სხვადასხვა ზომის, ფორმის და სიღრმის დაგლეჯილ-ნაკბენი შეხორცებული იარებით ჰქონდა აჭრელებული. პატრონმა მოულოდნელად უსიმოვნო ხმაზე დამიყვირა: – აქ რას დგახარ, გინდა, რო დაგგლიჯოს ამ შენ ძაღლთან ერთად? არ იცი, ეს საქართველოს ჩემპიონია!

მიგხვდი, რომ ამ ადამიანთან ლაპარაკი არ ღირდა და გავეცალე. ის კი შეკრებილ ბიჭებს ელაპარაკებოდა აღტკინებული, და რაღაც არეულად მეტყველებდა.

ჰოდა, ჩორნაზე გიყვებოდით. ჩვენს სახლის პირდაპირ ერთი სწუპი ცხოვრობს, ბოქსიორი, ჩორნასთან მაგარ კონტრაშია, დაკბენილიც ჰყავს ერთი-ორჯერ, ამიტომ ჩორნა გონივრულად იქცევა, ერიდება, თუ სწუპი ქუჩაშია, ჩორნა ეგრევე რაზმაძეზე აიჭრება და იქიდან მოუვლის ხოლმე პარკისკენ. სწორად იქცევა, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, იცის ბიჭმა!

ერთხელაც, ძველი ამბავია, ჩარა მიმყავს პარკში, ჩორნა ახალი ამდგარია ფეხზე, კოჭლობს, მაგრამ სახლში მობეზრდა ყოფნა. თითქოს აღარც ახსოვს, რომ კვდებოდა. ის დრო არ მავიწყდება, საწყალი, რა დღეში იყო! უკანა ფეხებს ვერ ხმარობდა და იძულებული იყო, წინა თათებით გადაადგილებულიყო, გული დაგეწვებოდათ, რომ შეგეხედათ... მოკლედ, იმ დღეს ჩორნა უჩვენდ იყო გასული პარკში, რომ დაგვინახა, მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და უცებ გვერდით გაიქცა. ვხედავ, რომელიდაც ძაღლს მიუვარდა, ის კი, ეტყობა, ჩორნას აღრე იცნობდა და თავიანთი ანგარიშები ჰქონდათ, მაგრამ ახლა ვერ მიხვედრილიყო, ჩორნა დასუსტებული და ნაავადმყოფარი რომ იყო და ადვილად შეიძლებოდა მასთან გამკლავება.

ჩორნა ისეთი შემართული და აგრესიული იყო, რომ ის მშიშარა წამსვე ზურგზე გაუწვა. ჩორნამ, რა თქმა უნდა, არ უკბინა, გამარჯვებულმა დაიყმუვლა, მეტოქეს მუცელზე ფეხი დაადო, გაჩერდა და აქეთ-იქით მიმოიხედა, ზუსტად ისე, ქართულ ბალეტში იაგომ რომ გაუკეთა ოტელოს! სურათი ძალიან შთამბეჭდავი გამოვიდა.

ამას წინათ, კადასკენ ერთი ოქროსფერი ლაბრადორის ლეგვი გამოიქცა სათამაშოდ. კადამ ცოტა უხეშად, როგორც იცის ხოლმე, თათი გაკრა და გვერდზე გადააბრუნა, თვითონ კი ზემოდან წაეტანა. ჩორნამ დაინახა თუ არა, წამსვე კადას გვერდით აღმოჩდა და იმ უბედურ ძაღლს სწვდა ყელში. სამივე ერთმანეთში აირია, კარგია, ახლოს ვიყავი, ჩორნა გადარეული, ჩემს სიტყვებზე ადარ რეაგირებდა და იძულებული ვიყავი, საყელოთი გამომეორია ამ არეულობიდან, თან შემთხვევით ფეხიც დავადგი და ცოტათი შემომიღრინა კიდეც. ვიფიქრე, როგორი დაუნდობელი გახდა ეს ჩორნა, როცა გადაწყვიტა, რომ კადას დაცვა იყო საჭირო.

ეზოში ვამბობდით, ჩორნამ საკუთარი თავი დაცვის პოლიციელად დანიშნა, ზოგი ამბობდა, არა, ეგ კადას პირად მცველად მუშაობს – „ბოდიგარდად“, ეტყობა, ის კინო აქვს ნანახი ტელევიზორში.

არა, სასეირნოდ მაგასთან ერთად გასვლა წარმოუდგენელი გახდა, ჯერ სადარბაზოდან იწყება ყეფა-წიოკი, ყველამ იცის, რომ კადა გამყავს და ჩორნა აცილებს. ეს ამ რიტუალის დასაწყისია. მერე წინ გაიჭრება, ხმაურობს, თითქოს სირენა აქვს ჩართული, თავის ჭკუით, გზას გვიწმენდავს, ყოველ მეორე-მესამე მანქანას უყეფს და მისდევს. მერე ჩვენთან მორბის კმაყოფილი თავისი ნამოქმედარით. გზაში თუ ვინმე ბიჭმა კადას ყურადღება მიაქცია, დიდი უსიამოვნე-

ბა ელოდება, ამიტომ პატრონებს შორიდან ვუყვირი, მოარიდეთ, ეჭვიანი მეგობარი ჰყავს ამ კადას. ამიტომ, როცა კადა უნდა გავიყვანოთ სასეირნოდ, ჩორნას შინიდან არ ვუშვებთ და უველაფერი მშვიდობიანად მთავრდება.

დაკვირვებული ვარ, ბევრ ძაღლს ოღონდ რამის ან ვინმეს დაცვა დაავალე და ამისთვის მზადაა, ყველაფერზე წავიდეს. აი, მაგალითად, პუპი, სოსოს პატარა შავი პუდელი ამას წინათ სოფელში წაიყვანეს და მაშინვე ეზო თავის ტერიტორიად გამოაცხადა. იქ მიჩვეული მეცხვარე ძაღლი კი უკანასკნელი სიტყვებით გალანძდა. ეს მეცხვარე, გაოცებული, ადამიანებს შესცემოდა, ეს ვინ ჩამოიყვანეთო. რომ გაბრაზებულიყო, მტრისას, პუპისნაირს ორს ერთად გადაყლა-პავდა, მაგრამ დაუთმო, ჩანს, ტერიტორიების აღიარების საკითხები ძაღლებს თავისი კანონების მიხედვით ესმით და მათ პატივს სცემენ, აბა, სხვა რა უნდა იფიქრო!

ამას წინათ კადას პირველად დაეწყო „ატეხვა“. ეს პერიოდი საშიშია, რადგან ბიჭები გიუდებიან და თუ ყურადებით არ იქნით, ნებისმიერ ქუჩის ძაღლს შეუძლია რამდენიმე წამში გაგიბახოთ თქვენი ნაფერები პრინცესა, მოგეხსენებათ უპატრონებს „პერის სინდრომი“ არ ახასიათებთ, პირდაპირ მიდიან საქმეზე, ამიტომ სასეირნოდ იმ ადგილებში გავდიოდით, სა-დაც ძაღლები არ იყვნენ ხოლმე.

პრობლემა იყო მხოლოდ ჩორნა-ბიჭი, ამიტომ მისი დამსახურებების მიუხედავად, სამი კვირა წითელი ბარათი პქონდა გამოწერილი, იძულებული გახლდათ, რკინის კარს იქით დარჩენილიყო. გასეირნების წინ, კარს რომ გავადებდით, კადასკენ გამოიწევდა თუ არა, მაშინვე ოთახში შევათრევდით, კარს მივუკეტავდით და პერი-პერი, მშვიდად მივდიოდით სასეირნოდ. რომ

ვგბრუნდებოდით, ახლა ჩორნას ვუშვებდით გარეთ, ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე.

ერთხელაც, გარეთ გასვლის დრო რომ დადგა, ვხედავ, ჩორნა კარის წინ არ ჩანს, ვიფიქრე, ალბათ პარკშია წასული თავის საქმეებზე, გამიხარდა, კარი მივკეტე და ეზოსკენ დავეშვი. ნაადრევი აღმოჩნდა ჩემი სიხარული. ჩორნა თურმე ქვევით, მეორე სართულზე წევს და იქ არ გველოდება?! ამ ტვინიკოს-მა ჭკუა იხმარა, აქედან სახლში როგორ შევათრევდი? სწორად გათვალა. იძულებული გავხდი, მთელი გზა ჩორნას სასიყვარულო შეტევები მომეგერიებინა, მეც გავწვალდი და თვითონაც.

მეორე დღესაც იგივე გააკეთა, ქვედა სართულზე დაგვიდარაჯდა. ახლა მე ვიხმარე ჭკუა, კადასთან ერთად უკან ავგბრუნდი, კარი გავაღე, ჩორნა ოთახში შევიტყუე. მერე კადასთან ერთად გამოვგერით გარეთ და ჩვენ გზას დავადექით. რადას იზამდა?

პოკო 2012 წლის ადრიანი შემოღვრება

მე ვარ კოკო. სწორად რომ გამოთქვათ ჩემი სახელი, აქცენტი მეორე მარცვალზე უნდა გააკეთოთ, ისე, როგორც ჩემი პატრონები მეძახიან! ასე ფრანგ გოგონებს ჰქვიათ, მაგალითად კოკო შანელი და კიდევ ვიდაცები. მართალია, ვაკეში ვცხოვრობ, მაგრამ ოჯახში დასავლეთევროპული ატმოსფერო სუფეგს, უფრო ინგლისურ-ფრანგული, ჩემი პატრონები ამ ქვეყნებს ხშირად სტუმრობენ. ვარ პოკულარული ლაბრადორის

ჯიშის, თეთრი, კოხტა, ტანადი და თვალადი გოგონა, ფიგურას ყოველთვის ვუფრთხილდები, რადგან ლაბრადორებს საერთოდ გასუქება გვახასიათებს, მე კი არ მიყვარს გასიებული ძაღლები, სირბილი რომ აღარ შეუძლიათ წესიერად.

უნდა გამოგიტყვდეთ, დალხინებული ცხოვრება მაქვს, მადის აღმძვრელი, ნაირ-ნაირი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები – უხვად, ჩემთვის არაფერი ენანებათ, ყველა მეალერსება, ჩემს გასასეირნებლად დაქირავებული ჰყავთ ჯინსიანი ახალგაზრდა ქალი, რიტა, რომელსაც დღეში სამჯერ გარეთ გავყევარ, მამეცადინებს, კუს ტბაში მაცურავებს, მივლის და მეფერება. ბინაში მაქვს სრული თავისუფლება, აკრძალული ადგილი ჩემთვის არ არსებობს. მე შეგნებული ძაღლი ვარ, დაუნახაობა სხვისი არ მიყვარს და დღედადამ ჩემს პატრონებზე ვლოცულობ ჩემებურად, ძაღლურად.

ერთ თვეში გათხოვების დროც დამიდგება და დედა გავხდები. საინტერესოა, ვის მიმზადებენ საქმროდ? საერთოდ, კარგის მოლოდინი მეტად სასიამოვნო რამაა. მე ცხოვრებითაც ვტკბები და თან მომავალ ქმარშვილზეც ვოცნებობ.

გუშინწინ კი საოცარი რამ ვნახე პარკში. ერთი შავი ძაღლი მეორეს გადაბმოდა! რიტამ იმ წუთს თვალი ამარიდებინა და სხვა მხარეს გამათრია. თან ყვიროდა, წამოეთრიე, ნუ უყურებო! ძალიან კი მაინტერესებდა, ასეთი რამ პირველად ვნახე, მაგრამ რიტას რა მოერეოდა! მთელი დღე იმ შავ ძაღლზე ვფიქრობდი, ნეტავ ვინაა, ასეთი ყოჩალი და გულადი?

მეორე დღეს პარკში გავიკითხე გოგოებთან და ყველაფერი მომიყვეს. ეს ყოფილა სახელგანოქმული ჩორნა, იგივე რომელ, უბნის საყვარელი ბიჭი, თავგადაქლული მექალთანე, ნამდვილი მაჩო-ბიჭი, ფეხიც

რომ ქალებისთვის ბრძოლაში დაუზიანებია. მის უიდბლო სიყვარულზე მთელი გაკე ლაპარაკობდა, როცა მისი გულით საყვარელი გოგო ჩარა მანქანამ გაიტანა და ახლაც, ორი წლის შემდეგ ამ ამბებს იხსენებენ... რომ გითხრათ, გარეგნობით ძალიან მომეწონა-მეთქი ეს ჩორნა, მაინცდამაინც მართალი არ ვიქნები, თუმცა მეტად სევდიანი და მეტყველი მუქი ყავისფერი თვალები აქვს, დაჩაგრული შავკანიანი ბიჭივით, თან მიმზიდველიცაა, ლალი და ვაჟპაცური გამოხედვა აქვს... ისე, რა ჩემი საქმეა ეს ჩორნა? მე ჯიშიანი ძაღლი ვარ, წინაპრების სიით! ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ის მოულოდნელად მომიახლოვდა და მომმართა:

— ქალიშვილო, ნება მომეცით, გაგეცნოთ, მე გახლავარო ჩორნა, იგივე რომეო, აბაშიძეზე კცხოვრობ ერთ პატიოსან ოჯახში. როგორ ბრძანდებით!

დავიბენი, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, პირველად გავიგე მისი სასიამოვნო ხმა. პირველად გავიგე, ძაღლს ასე ზრდილობიანად თუ შეეძლო ლაპარაკი. მორცხვად ვუპასუხე:

— სასიამოვნოა, კოკო მქვია, აქცენტით მეორე მარცვალზე!

— გავიგე, კოკო, მშვენივრად ჟღერს! მოდი, ვიმეგობროთ!

ნეტავ რა უნდა, რას ეძახის მეგობრობას, რას გაიგებ კაცებისას! ვიფიქრე მე, მაგრამ ზრდილობიანად მივუბჯ:

— კი, რა თქმა უნდა.

აი, მაშინ სხვანაირად რომ მოვქცეულიყავი, ახლა ამ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდი, თუმცა რა, პროგნზირება ადამიანებსაც ეშლებათ, მე ხომ ერთი უმწეო და თავქარიანი ქალიშვილი ვარ. ასე იყო თუ ისე, იმ დღის შემდეგ მოსვენება დაგარგე, რიტა გარეთ გამიყვანდა თუ არა, სულ ჩორნას გამოჩენას

ველოდი, ისიც არ აგვიანებდა, უეცრად მოვიდოდა შორიდან, მეალერსებოდა თვალებით, ყოველთვის რა-დაც უცხო საკვები მოჰქონდა, რომელიც ჩემს მენიუში არასდროს ეწერა. რიტა ცდილობდა, ჩორნას მოტ-ანილი ძღვენი არ მეჭამა, მაგრამ მე საჩუქარს კბი-ლებში მოვიქცევდი და პირს არ ვაღებდი, რომ რიტას არ გამოეგლიჯა, ბოლოს ისიც თავს მანებებდა, თან გაბრაზებული ერთ ცუდ სიტყვასაც მომაყოლებდა – პარაზიტ! ჩორნას მორთმეულ საჭმელს ჩემი პატრონები სათოფეზე არ გამაკარებდნენ, რადგან ეს იყო ქუჩაში რამდენიმე დღის ნაგდები ძვალი, რომელსაც ალაგ-ალაგ ხორცებიც ჰქონდა შემორჩენილი და საო-ცარ არომატს აფრქვევდა. ჩორნა მეუბნებოდა, ასეთი საკვები ძალლისთვის მეტად სასარგებლოა, რადგან იმუნიტეტს აძლიერებსო. აი, რა ჭკვიანია ჩორნა, ყვე-ლაფერი იცის, როგორი გამოცდილია, მაგას შემოეფ-ლოს ჩემი თავი!.. ეეე, ეს რა სისულელე წამომცდა, რა, ჩორნა მომწონს? ან უარესი, ხომ არ მიყვარს? არ ვიცი, არ ვიცი, რაღაც დავიბენი, უნდა გავიქცე, ცოტათი გაგგრილდე, ჰაერმა გამიქროლოს ყურებში, იქნებ დავწყნარდე.

პოკო **2012 წლის ოქტომბერი**

ამას რას მოვესწარი? ჩორნამ თათი მთხოვა! აი, ასე, მოვიდა და მთხოვა. რა ვუპასუხო, იცის, რომ მიყ-ვარს, მაგრამ მზად ვართ კი ოჯახის შესაქმნელად? როგორ ვიარსებოთ, სად უნდა ვიცხოვოთ, ჩემთან

გამორიცხულია, ჩემი პატრონები ზედსიძეს არ მიიღვ-ბენ! ეს ნამდვილად ვიცი. ჩორნასთანაც არა მგონია მიგვიღონ, იქ თავიანთი გაპრანქული ცისფერთვალება ჰყავთ.

იცით, რა მითხრა? ქვეყანა დიდია, ერთი შეკვარებული ცოლ-ქმრისთვისაც მოიძებნება სადმე ადგილიო! აი, რა ბრძენი და იმედიანია ჩემი ჩორნა! რახან ამბობს, ეს ნიშნავს, რომ საცხოვრებელ ადგილსაც მომიძებნის და საჭმელ-სასმელსაც!

უპატრონო ძაღლის ცხოვრება, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ მე ახალი პატრონი მეყოლება, ჩემზე შეკვარებული, ჩემი შავი ვაჟაცი.

ჩორნა

2012 წლის ოქტომბერი

კოკო თანახმაა, გამომყვეს! რა ბედნიერებაა... ახალ ცხოვრებას ვიწყებ. ცოლ-შვილი მეყოლება, ლეპვები – შავებიც და თეთრებიც. თეთრებზე ხომ ჭეუას ვკარგავ, ექვსი შვილი მინდა მყავდეს. ეს კარგი, მაგრამ ჩემს პატრონებს რა ვუყო, დამე სახლში რომ არ მივიდვ, ინერვიულებენ, ხომ ვიცი, გადაირევიან, ძებნას დამიწყებენ! არადა, როგორ გავაგებინო ჩემი გულის ვარამი? მოვიფიქრე, ერთად უნდა მივიდეთ მე და კოკო, დავენახოთ რუსოს ან ტატოს, ისინი ყველაფერს მიხვდებიან! რომ არ გაგვიშვან? მაშინ სწრაფად გავიქცევით და ვერ დაგვეწვიან. აი, ასე!

მე უკვე ვიცი, სად უნდა ვიცხოვროთ, წყნეთისკენ, კაკლებში. ლამაზი ბუნებაა, იქ ერთი ადგილი მეგ-

ულება უსაფრთხო. კარგი ხალხიც ტრიალებს, ვინმეს დავიმეგობრებთ, ნაგვის კონტეინერებიც ახლოსაა, არა, მშივრები არ მოვკვდებით. მთავარია, ერთად ვიყოთ.

ახლა, პირველ რიგში, საჭიროა, კოკომ მოახერხოს სახლიდან გამოპარვა. მე ვიცი, როგორ უნდა მოხდეს ეს. კოკოს ღამით ეზოში ტოვებენ, ეზოს კი რკინის ბოქლომით კეტავენ. ჩვენ რკინას რას მოვუხერხებთ! არცაა საჭირო, ორმო უნდა გავთხაროთ ერთდროულად, მე გარედან, კოკომ – შიგნიდან. თუ ყველაფერი მშვიდობით წარიმართა, ჩემი სატრაფო თხუთმეტ წუთში თავისუფალი იქნება!

პოკო 2012 წლის შემოდგომა

რა მამაცია ჩორნა! რა სწრაფად გამოთხარა ორმო! უკვე გარეთ ვარ! ჯერ გადავეხვიეთ ჩვენებურად, შემდეგ ნაზად გავლოკეთ ერთმანეთი და ვაკის პარკისკენ გავიქეცით. მერე ზევით გავუყევით, ბაგებისკენ და ჩორნას შერჩეულ ადგილს მივადექით. მართლაც შესანიშნავი ადგილია, გადმოიხდავ და მთელი ქალაქი სელის გულივით ჩანს, არავინ გაწუხებს, სუფთა ჰაერი, ტყე, ცოტა ნადირობაც შეიძლება, ამბობენ, კურდღლები ცხოვრობენ. რაც მთავარია, ძაღლების დამჭერი მანქანები აქ არავის უნახავს, და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჩორნამ შეიტყო.

პირველი დამე ჩეარა დადგა, ჩორნას ავუხსენი, რომ იმ ამბისთვის ზუსტად სამ კვირაში ვიქნებოდი მზად.

მანამდე ოჯახისთვის უნდა მიგვეხედა, ვგულისხმობ, ახალი ნაცნობები უნდა გვენახა, ვინც გაგვიმასპინძლდებოდნენ ნასუფრალით, თორემ ჩვენ არც ავეჯი გვჭირდება და არც მოდური ტანისამოსი. იმავე დღეს გავიცანით მოხუცი ცოლ-ქმარი, ძაღლების მოყვარულები, ასე რომ, კვების პრობლემა ავტომატურად მოგვარდა. ახლა მთავარია ეს სამი კვირა ჩქარა გასულიყო!

მაგრამ ჩვენმა ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა. ათი დღის შემდეგ, საღამო ხანს, ჩორნა შინიდან გასული იყო საქმეებზე. და რას ვხედავ, ჩემი პატრონები დამადგნენ თავზე. ზურას ხელში საბეჭი უჭირა, ნანა იღიმებოდა, ბედნიერი.

გული შემეკუმშა. ნეტავ თრი კვირის მერე ვეპოვნეთ. ახლა კი მშვიდობით, ჩორნა! მშვიდობით, თავისუფლება! ვიცი, რაც მელოდება, მომიყვანენ ვინმე უხეშ თეთრ ლაბრადორს და უჩინე მერე ლუკვები.

პატრონებს საყვედური არ დასცდენიათ, გახარებულები იყვნენ, ჩამსვეს მანქანაში, მოხუც ცოლ-ქმარს ახსენებდნენ კმაყოფილები, კოკოს მეტი ყურადღება სჭირდება, კიდევ არ გაიპაროსო, ამბობდნენ, მე კი მეტირებოდა...

ჩორნა 2012 გვიანი შემოღვომა

ეს მეორე ელდა იყო ჩემს ცხოვრებაში. ჩვენი ტქბილი თავშესაფარი ცარიელი დამხვდა. გულგატეხილი ვარ, აღარაფერი მინდა, რა გამახალისებს. თავის

მოკვლა რომ შემეძლოს, ვიფიქრებდი, მაგრამ ესეც არ ვიცი, როგორ კეთდება, ძაღლები თავს არ იკლავენ! რა ვქნა, რა გავაკეთო, როგორ დავიბრუნო ჩემი კოკო-შკა, ეტყობა, აღარაფერი გამოვა, თავს ზევით ძალა არაა, დააბამენ ალბათ რკინის ჯაჭვით და მორჩება ამით ჩვენი ოცნებები.

შინ უნდა დავბრუნდე, ჩემს პატრონებთან, მიმიღებენ? მაპატიებენ? კადა რას იტყვის? ვნახოთ, უნდა ვცადო. ავედი მეოთხე სართულზე, ვხედავ, ბინიდან გამოდიან რუსო და კადა, სასეირნოდ გამზადებულები, კადა მომახტა, წინა თათი გამკრა, თავისებურად, მეც მივეალერსე, თან ცალი თვალით რუსოს ვუყურებ, ნეტი რას გააკეთებს. ვხედავ – თვალები უბრწყინავს, მეძახის, მოხვედი, შე საძაგელო, ცოცხალი ხარ, ჯანმრთელი? მადლობა ღმერთს!

მე მივუახლოვდი, რუსომ თავზე ხელი დამადო, ისე, როგორც მხოლოდ მან იცის ხოლმე!

ჩორნა

2012 წლის ზამთარი

იმ უბედური დღის შემდეგ კოკოს აღარ შევხვედრივარ, თითქმის ოთხი თვე გავიდა. გუშინ კი ისეთი რამ ვნახე, გული როგორ არ გამისკდა, არ ვიცი. ვუყურებ, მოდის კოკო, უკან ლაბრადორის ლუკვები მოჰყვებიან, ხუთი თეთრი ლუკვი...

წიგნი საჩუქრად გადაეცემათ ძაღლების მეგობრებს და ქომაგებს

ყდაზე:

წინ

- ჩარა ვაკის პარკში, მოხიბლული სიოს მოტანილი არომატით და ფოთლების შრიალის ხმით
- ჩორნა, ჩაფიქრებული წუთისოფლის სიმუხთლეზე

უკან:

- კადა - არავის დავუთმობ ჩემს საყვარელ ქვეშაგებს!
- კოკო, ცხოვრებაზე გულგატეხილი და ყურებჩამოყრილი, საყვარელთან განშორებით